ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ + ილია II ოქროს ხანა სამტომეულის პირველი ტომი 8 ლარი

პარასკევი, 18 იანვარი, 2013 №14 (6015) ფასი: 30 თეთრი

ირაკლი ოქრუაშვილი: „ჩვენება არც ერთ საქმეზე არ მიმიცია“

გვ.3

გელა ნიკოლაიშვილი: „ადეიშვილი, მერაბიშვილი და სააკაშვილი — ეს სამი ადამიანი იყო ბოროტების ღერძი!“

გვ.2

როგორ გადავაყენოთ პრეზიდენტი

„ერთსულოვნება“ პარლამენტს წინადადებით მიმართავს გვ.5

ზუგდიდში სააკაშვილს კუბო დაუდგეს

თენგიზ გუნავას კი სამეგრელოს სირცხვილი უწოდეს

— გვ. 5 —

ცაგარეიშვილი მერაბიშვილს სანერგე მეურნეობის განადგურებაში ადანაშაულებს

გვ.5

გურამ სალარაძე გარდაიცვალა

გვ.7

ბიძინა ივანიშვილი: „სომხეთის პრემიერის წინადადება მომეწონა და ავიტაცე“

— გვ. 3 —

ელისო კილაძე: „ბედუკაძის დაბრუნება ბევრ რამეს ნათელს მოჰფენს“

გვ.4

რატომ არ ინტერესდება ხელისუფლება ვარძელაშვილითა და ახვლედიანით

გვ.4



9 771987 938006

6 ნუ მივატოვებთ მოხუცებს

3 ნიკოლოზ მელია წაყენებულ ბრალდებას არ ეთანხმება

7 2014 წელს შესაძლოა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდეს

6 275 გამარჯვებული ბიპისგან საჩუქრად 960 აშშ დოლარს მიიღებს

გელა ნიკოლაიშვილი: „ადეიშვილი, მერაბიშვილი და სააკაშვილი — ეს სამი ადამიანი იყო ბოროტების ღერძი!“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

— ბატონო გელა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ უმრავლესობა საკონსტიტუციო ცვლილებებს გეგმავს და ამ განხილვებს ზოგიერთ რეგიონში სერიოზული ხმაურიც კი მოჰყვა. ითქვა ისიც, რომ ახალი ხელისუფლება კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგებას ცდილობს. რამდენად არის ასე?

— საკონსტიტუციო ცვლილებებს რაც შეეხება, მე ვფიქრობ, რომ ეს უფრო პრევენციული ხასიათის არის. ვინაიდან მოგეხსენებათ, რომ ექვსი თვის გასვლის შემდეგ მცირე ვადა მაინც რჩება პრეზიდენტს იმისათვის, რომ დაითხოვოს ახალი მთავრობა და მის მიერ დანიშნული მთავრობა აღარ წარადგინოს პარლამენტში, უბრალოდ, დანიშნოს მოვალეობის შემსრულებლებად. რა თქმა უნდა, ეს რისკის შემცველი ნაბიჯია თვითონ ყოფილი ხელისუფლებისთვის და მე არ მგონია, რომ ამხელა რისკზე წავიდეს სააკაშვილი. მას იმდენი გონება კი ჰყოფნის, მიხვდეს, რომ ეს გამოიწვევს მასობრივ პროტესტებს და ამ პროტესტების ტალღამ შეიძლება საერთოდ ჩამოაგდოს ის ხელისუფლებიდან. თუმცა დაზღვეულნი რადგანაც არა ვართ სააკაშვილის გაუთვლელი ნაბიჯებისაგან, ხელისუფლების სურვილია, რომ ეს დაბლოკოს, მით უმეტეს, რომ ეს ცვლილება ერთჯერადია, რადგან ოქტომბრიდან სრულიად ახალი მოდელი იმოქმედებს ქვეყანაში. მე ვფიქრობ, უფრო ზედმეტი სიფრთხილით მოსდის ეს ხელისუფლებას, ვიდრე ამის რეალური საფრთხე არსებობს. მე, მაგალითად, ამ საფრთხეს ვერ ვხედავ. მეორე ცვლილება კი ეხება პარლამენტის საკითხს, კონსტიტუციიდან საკითხის ამოღებას, თუ სად უნდა ფუნქციონირებდეს პარლამენტი. მე ვფიქრობ, ეს სწორია, იმიტომ რომ ასე მკაცრად არ უნდა იყოს განსაზღვრული. იქნებ მოხდა ისე, რომ მოუწიათ შეკრება ზუგდიდში, ბათუმში, ან თელავში, შეიძლება აუცილებლობა იყოს ამ ადგილებში შეკრება და სხდომის იქ ჩატარება, რატომ არ უნდა იყოს ეს შესაძლებელი? ამიტომ ასე ცალკე აღებული კონკრეტულად რომელიმე ქალაქში თუ არ ჩატარდა პარლამენტის სხდომა, ის არ ითვლება ლეგიტიმურად, მე ვთვლი, რომ ეს არ არის სწორი და ეს ცვლილება აუცილებლად მისაღებია და აი ის პირველი კი, მე ვფიქრობ, მაინცდამაინც აუცილებელი არ არის, რის საფრთხის გამოც ამას აკეთებენ, მე ამ საფრთხეს ვერ ვხედავ. მე ვფიქრობ, რომ სააკაშვილი ამ რისკზე არ წავა.

— თუმცა საუბარია, რომ ის რეგიონებში შეგნებულად ამწვავებს ვითარებას, ახალი გუბერნატორების დანიშვნა, კულუარული საუბარი იმაზე, რომ ის სამუშაოდ ზუგდიდში გადადის და იქიდან აპირებს ქვეყნის მართვას. ეს ყველაფერი რამდენად საფრთხის შემცველია?

— არც ეს არის საფრთხის შემცველი. უბრალოდ, მთავარი და თავიდათავი არის ის, რომ მას არ ჰყავს დასაყრდენი ხალხში. მისი რეალური რეიტინგი ხომ ის მხარდამჭერები არიან, ძირითადად ვისაც ის დღეს ასაქმებს, რაღაცა გამოკვეთას ახდენს მათი სხვადასხვა ორგანიზაციებში თუ საგარეოსაბჭოებში დასაქმებით. სხვაგან ძირითად მასაში მას მხარდამჭერი არა ჰყავს, ხოლო ის 5-10% არ არის რაიმეს გადამტრიალებელი. ეს არის მხოლოდ ილუზია, მშიშარა ადამიანი რომ დარბის და ყვირის, არ მეშინია, არაფრის მეშინიაო, ისე მოსდის. სხვების დასანახავად აკეთებს ამას. რეალურად კი იქ ჩანს მისი სისუსტეები,

არანაირ საფუძველს ეს გამოსვლები არ ემყარება.

— უსაფუძვლოა შიშები?

— მე ვფიქრობ, რომ შიშები სრულიად უსაფუძვლოა. გამომდინარე სწორედ იქიდან, რომ აღარც სახელისუფლებო ბერკეტები აქვს, რაზეც წლების განმავლობაში დამყარებული იყო მისი ხელისუფლება და აღარც რეალური ფინანსები აქვს იმდენი, რომ ამდენი ხალხი იყიდოს. რაც ყველაზე მთავარია, მასობრივი მხარდაჭერა არა აქვს ხალხის, რომელიც ჰქონდა თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დროს 2003-2004 წლებში. ამის შემდეგ კი ყველაფერი დამყარებული იყო არა რეალურ მხარდაჭერაზე, არამედ ადმინისტრაციულ რესურსზე. საერთოდაც, როგორც პოლიტიკოსი, სააკაშვილი და მისი გუნდი იმდენად არიან ძლიერები და საშიშები, რამდენადაც მათ გააჩნიათ სახელისუფლებო ბერკეტები. ისინი მთლიანად ოპოზიციაში არასოდეს არ ყოფილან. დაწყებული თავისი პოლიტიკური კარიერიდან, 1995 წლიდან მუდმივად იყვნენ სახელისუფლებო გუნდში. როდესაც ოპოზიციაში იყვნენ, ცალი ფეხი მაინც ხელისუფლებაში ჰქონდათ. პარლამენტი მაგათი, იყო, საკრებულო მაგათი და თავის თავს ოპოზიციას ეძახდნენ. ამიტომ იყვნენ ძლიერები, ეს ბერკეტები რომ ჰქონდათ. დღესაც თავის თავს ოპოზიციას ეძახიან და საკრებულო, სასამართლოები, პრეზიდენტის ინსტიტუტი მათია. ეს ბერკეტები მათ რომ არ ჰქონდეთ და ოქტომბრის მერე საერთოდ არ ექნებათ, პრაქტიკულად, ჩათვალეთ, რომ მითი სააკაშვილის პოლიტიკოსობისა საპნის ბუშტივით გასკდება. ამით არის ის მაგარი და ეს რომ არ ექნება, ამით დამთავრდება მიშა. ამით კომუნისტებიც მაგრები იყვნენ, როდესაც ხელისუფლება დაკარგეს კომუნისტებმა, ხომ ნახეთ, როგორ აორთქლდნენ საერთოდ პოლიტიკური ასპარეზიდან, იმიტომ რომ მათ მხარდაჭერა არ ჰქონდათ და ასევე არა აქვთ მხარდაჭერა სააკაშვილს და მის გუნდს.

— ბოლო პერიოდში დასავლეთიც აღარ გამოირჩევა დიდი მხარდაჭერებით სააკაშვილთან მიმართებით.

— ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაგრძელდება დასავლეთის მხრიდან, იმიტომ რომ დასავლეთი ფაქტის წინაშე დგას და დადგება კიდეც. რაც უფრო მეტი რეპრესიული მანქანა და ჯოჯოხეთური და სადისტური გამოვლინებები გამოჩნდება, სულ უფრო ნაკლები და ნაკლები ხალხი გამოთქვამს დასავლეთში მის მხარდაჭერას. მათ შერცხვებათ, უბრალოდ, რომ ოდესღაც ასეთ რეჟიმს უჭერდნენ მხარს.

— თუნდაც ბოლო დროინდელი კადრები რომ გავიხსენოთ მეგის ქარდავასთან დაკავშირებით. მართალია, უმცირესობამ პროტესტი გამოთქვა, უფლებები ილახებაო და საინტერესოა, რა დროს უფრო შეილახა ამ ადამიანების უფლებები?

— ესეც ძალიან სასაცილო თემაა, როდესაც ადამიანის უფლებების შელახვაზე საუბრობენ. აქ აქცენტი გააკეთეს, ლგბტ, ანუ სექსუალური უმცირესობების უფლებები ილახებაო. ამ შემთხვევაში რა შუაშია ასეთი აქცენტი სექსუალურ უმცირესობაზე. იქ ქალსა და მამაკაცს შორის რომ ყოფილიყო ჩვეულებრივი ბუნებრივი ურთიერთობა, ესეც ასეთივე შანტაჟის საფუძველი იქნებოდა, იმიტომ რომ, როდესაც ასეთ კადრებს იღებენ და, დარწმუნებული ვარ, რომ ქალსა და მამაკაცს შორისაც იქნებოდა გადაღებული ასეთი კადრები და ამას ან ქალი წინააღმდეგ გამოიყენებდნენ ან მამაკაცის, გააჩნია, ვინ იყო დაინტერესებული პირი. აქ არაფერ შუაში არ არის ლგბტ საზოგადოება. სხვა საკითხია, როდესაც ზოგიერთები ამბობენ, რომ შეიძლებოდა პიროვნებების იდენტიფიცირება, მე ტექნიკურად არ ვიცი, რა და როგორ, ამის კარგი სპეციალისტი არა ვარ და, თუ ეს მართლაც ასეა, რომ შესაძლებელი იყო პიროვნებების იდენტიფიცირება, რასაკვირველია, ეს არის უფლებების შელახვა, მაგრამ, თუ ეს შეუძლებელი იყო, აქ არანაირად სექსუალური უმცირესობების უფლებების შელახვასთან საქმე ნამდვილად არა გვაქვს.

— რაც შეეხება, ზოგადად ამ დაკავებების თემას, საზოგადოებაში კვლავ აქტუალურია მოთხოვნა, რომ დაისაჯონ მაღალი რანგის ჩინოვნიკები. მართალია, ადეიშვილის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ეს პროცესი რატომღაც იწელება და ეს ადამიანები კვლავ დაუსჯელები რჩებიან, რაც საზოგადოების გაღიზიანებას იწვევს. როგორ ფიქრობთ, რა ხდება?

— მე მიმაჩნია, რომ ორი მიზეზი აქვს ამას, ერთი ის, რომ ძალიან ბევრი საქმეა და რაღაცა თავმოუბმელობა, რაღაცა ანარქიული, ქაოტური მოქმედების ელემენტები შეინიშნება. რაც მე ნამდვილად ვიცი, საქმეების რაოდენობა ძალიან დიდია. მეორე, მე ვფიქრობ, არის ის, რომ პროკურორებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების 80-90% ადგილზეა, ძველი კადრებია. მათგან ძალიან დიდი ნაწილი გასვრილია ამ ყველაფერში და მათ ინტერესი არა აქვთ, რომ ეს საქმეები გაიხსნას. პირიქით, მათი ინტერესია, რომ არ გამომჟღავნდეს ეს საქმეები, რადგანაც ეს კვალი მათთანაც მივა, ვინც გასვრილია ამაში. ამ საქმეების დაბლოკვისა და არგამომზეურების მცდელობები აშკარად იქნება. ეს არის იმის მიზეზი სწრაფი ტემპით რომ არ მიმდინარეობს ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ მამხილებელი მასალების გამომზეურება და მათ მიმართ ადეკვატური ბრალდებების წაყენება.

— გამოდის, რომ ჯერ პროკურატურა უნდა გაიწმინდოს?

— მე ასე ვთვლი. მე არაერთხელ გამიცხადებია, რომ 80-90% კი არ უნდა დაეტოვებინათ პროკურორების, არამედ 80% უნდა გაეშვათ და 20% დაეტოვებინათ, იმიტომ რომ ისინი ნამდვილად არიან ამ საქმეების თანამონაწილენი. ყველა არა, მაგრამ უმრავლესობა თანამონაწილეა. ან თვითონ ჩადიოდნენ უკანონობას, ან სხვებს ავალებდნენ. ამის უამრავი ფაქტი არსებობს.

— გამოდის, რომ ის პროცესი, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, დროში გაიწელება?

— მე ვფიქრობ, რომ ასე იქნება. ახლა იმიტომაც შემოაგდეს ეს წინადადება ამნისტიის, ძველი ჩინოვნიკებისთვის. მე ვფიქრობ, რომ მსუბუქი დანაშაულებისთვის მართლაც შეიძლება ეს, იმიტომ რომ ეს ხომ ფაშისტური რეჟიმი იყო. ფაშისტურ გერმანიაში ან ბოლშევიკურ 20-30-იან წლების რუსეთში ყველასთვის ადეკვატურად რომ მიეზღათ, ვინც კი ჩართული იყო ამ სახელმწიფო ტერორის მანქანაში, მაშინ მთელი გერმანიისა და მთელი საბჭოთა კავშირის 80% უნდა დაეპატიმრებინათ და დაახლოებით ასეთი სიტუაცია იყო საქართველოში ბოლო 9 წლის განმავლობაში და შეუძლებელია მართლაც, რომ ყველას მიუზღო ადეკვატურად. იქ, უბრალოდ, უნდა გამოირჩეს მსხვერპლი, მაგალითად, პედაგოგები, ექიმები, კოორდინატორები და ასე შემდეგ, რომლებიც ლუკმაპურისა და სამუშაოს შენარჩუნებისთვის მიდიოდნენ იმაზე, ხმების შეგროვება იყო ეს თუ გაყალბება. სხვა საკითხია, როდესაც ადამიანის პირად ქონებას, სიცოცხლეს, ჯანმრთელობას პირდაპირ ეხებოდნენ, ბრძანებით ან პირდაპირ ასრულებდნენ. ეს უნდა გამოირჩეს და ამის მიხედვით უნდა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი. მოგეხსენებათ, რომ ფაშისტური გერმანიის დამნაშავე პირები არათუ ერთი და ორი, არამედ ათწლეულების მანძილზე იძებნებოდნენ და დღესაც იძებნება მათი ნაწილი მთელს მსოფლიოში. ასე რომ, ამ დანაშაულებს დრო და სივრცე არ გააჩნიათ. ზოგიერთი შეიძლება ათწლეულების მანძილზე იყოს ძებნის პროცესში, მაგრამ, რას ვიზამთ, ამის მიუხედავად, ტენდენცია არ უნდა შეჩერდეს, არ უნდა ეპატიოს მძიმე დანაშაული არავის.

— შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადეიშვილის პასუხისგებაში მიცემას ათწლეულები დასჭირდება?

— მე იმედი მაქვს, რომ ეს ათწლეულების მანძილზე არ გაგრძელდება, იმიტომ რომ არ არის დღეს ის მსოფლიო და არსებობს იმის შესაძლებლობები, რომ ვერ დაიმალოს ადამიანი. რა გითხრათ, გამორიცხული არაფერია. როგორც რეალურად ჩანს, ადეიშვილი, მერაბიშვილი და სააკაშვილი — ეს სამი ადამიანი იყო ის მთავარი ღერძი, ამ ბოროტების შემქმნელები და ცხოვრებაში გამტარებლები, სხვა იდეოლოგებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, ამ სამი პირის დანაშაული მომავალში სულ უფრო და უფრო გამოიკვეთება.

— ფაქტია, რომ მერაბიშვილთან დაკავშირებითაც ვერ ხერხდება ბრალის წაყენება. პასპორტის თემაზე დაიბარეს და ესეც, ასევ თქვათ, ჩაიფარცხა.

— არ ვიცი, შესაძლებელია, არ არსებობს რაღაცა კონკრეტული მტკიცებულებები, მეც იმ აზრისა ვარ, რომ როდესაც არ არსებობს კონკრეტული მტკიცებულებები, ადამიანი არ უნდა დააპატიმრო, სანამ ეს მტკიცებულებები არ გამოიკვეთება. ყოველ შემთხვევაში, ეს აზრი ჩამოყალიბებულია საზოგადოებაში და აბსოლუტურად სამართლიანადაც, რომ ყველაზე დიდი გავლენის მქონე ადამიანები სწორედ ესენი იყვნენ. ვნახოთ, მე ვფიქრობ, მომავალში უფრო მეტი ინფორმაცია გამოიკვეთება და, არა მგონია, მერაბიშვილი მშრალი გამოვიდეს წყლიდან.

— ბატონო გელა, საუბრის ბოლოს, მოდით, პოლიტპატიმრების თემასაც შევეხოთ. გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები ციხეებიდან, რამაც ნაციონალების გაღიზიანება გამოიწვია. ასევე ეკა ბესელიამ გააკეთა განცხადება, რომ კიდევ ახალი სია შედგება პოლიტპატიმრების. თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?

— მე იმით დავიწყებ, რომ დღეს გააკეთა განცხადება გერმანიის ერთ-ერთი პარტიის ლიდერმა, შტრეხერმა. ის მიესალმა პოლიტპატიმრების გათავისუფლების ფაქტს და ნაციონალების ის პიარსვლები და პროპაგანდისტული განცხადებები, რომ აი, ხომ ხედავთ, რუსეთის მეტმა სხვამ არავინ მოიწონა ეს ფაქტიო, ამან უკვე ჩაილურის წყალი დალია. შტრეხერმა პირდაპირ თქვა, იმედი მაქვს, საქართველოს ეს ნაბიჯი მისაბაძი მაგალითი იქნება მთელი ევროპისთვის, რომლებმაც პირველებმა შეასრულეს ევროპის საბჭოს, საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის რეზოლუცია, სადაც პოლიტპატიმრების გათავისუფლებისკენ იყო მოწოდება ევროსაბჭოს ქვეყნებისთვის. ასე რომ, ეს ტენდენცია დადებითია. ახლა ის ფაქტი, ვინ იყო პოლიტპატიმარი და ვინ — არა, ამაზე მსჯელობა, რა თქმა უნდა, გაგრძელდება. ის, რომ მასობრივად არსებობდნენ პოლიტიკური პატიმრები საქართველოში, დადასტურებულია და ჩემშიც ეჭვს არ იწვევს. პირადად არაერთ საქმეში მიმიღია მონაწილეობა, სადაც ფიგურირებდა პოლიტიკური მოტივი. იგივე ენვერის საქმე, კოჭოიას თუ მუხროვანის საქმე, აშკარად იყო გამოკვეთილი ეს მომენტები და მტკიცებულებები იქ იყო ხელოვნურად შეკოწიწებული ან საერთოდ არ არსებობდა. ამიტომაც ძალიან სწორი გადაწყვეტილება იქნება, თუ ამ საქმეებს გრიფით „საიდუმლო“ მოეხსნება და საზოგადოებისთვისაც ცნობილი გახდება, რას ემყარებოდა მათი დადანაშაულება ჯაშუშობასა თუ სახელმწიფო გადატრიალებაში. რაც შეეხება ახალ სიებს, არ ვიცი, ვერ გეტყვით, მე როგორც ვატყობ, მათ მიმართ პოლიტიკური ამნისტიის გამოცხადება უკვე შეუძლებელი იქნება, იმიტომ რომ ამნისტია არ არის ის ფაქტი, რომ ყოველ თვეში მიიღოს პარლამენტმა. შესაძლებელია, უბრალოდ, ისინი აღიარონ პოლიტპატიმრებად, განიხილავენ სიებს და, თუ ამის საფუძვლები იქნება, მათ აღიარებენ. მე, უბრალოდ, არ ვარ ამ კომისიის წევრი და უფრო დეტალურად ვერაფერს გეტყვით ამის თაობაზე.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ბიძინა ივანიშვილი: „სომხეთის პრემიერის წინადადება მომეწონა და ავიტაცე“

ნათია ხურცილავა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ოფიციალური ვიზიტით სომხეთის რესპუბლიკაში შვიდ მინისტრთან ერთად იმყოფება.

პრემიერ-მინისტრის პრესსამდივნოს ინფორმაციით, ზვარტნოცის აეროპორტში დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართა.

საქართველოს დელეგაციას სომხეთის საერთაშორისო აეროპორტში სომხეთის პრემიერ-მინისტრი ტიგრან სარგსიანი და მთავრობის სხვა წევრები დახვდნენ.

საქართველოს დელეგაციას პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ხელმძღვანელობს. დელეგაციაში ასევე შედიან საგარეო საქმეთა მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი, რეინტეგრაციის მინისტრი.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი პირისპირ შეხვდა თავის სომეხ კოლეგას. პრემიერ-მინისტრების პირისპირ შეხვედრის შემდეგ ქართული და სომხური მთავრობის წარმომადგენლების ხელმძღვანელების გაფართოებული შეხვედრა გაიმართა.

ბიძინა ივანიშვილი ასევე შეხვდა სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარქსიანს, რომელთანაც პირისპირ შეხვედრა გამართა, რის შემდეგაც პრემიერისა და პრეზიდენტის ერთობლივი სადილი გაიმართა.

ქართული დელეგაცია ეჩმიაძინის საკათედრო ტაძარს ეწვევია, რის შემდეგაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილის შეხვდა სრულიად სომხეთის კათოლიკოს გარეგინ მეორეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრემიერი ივანიშვილი შეხვდა სომხეთის პრეზიდენტს სერჟ სარქსიანს. პრემიერის პრესსამდივნოს ინფორმაციით, შეხვედრა სომხეთის პრეზიდენტის სახლეში გაიმართა.

საუბრის მთავარი თემა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხებს შეეხებოდა.

მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ კეთილმეზობლური პოლიტიკა მოთა და ბევრ საკითხზე მნიშვნელოვან შეთანხმებას მივაღწიეთ. ორი ხალხის ისტორიაში არ არსებობს საკითხი, რომელიც არ გადაიჭრება. ჩვენს ქვეყნებს შორის არსებობს დიდი პოტენციალი, რომ ერთობლივი ეკონომიკური გან-

მავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და სომხეთის პრეზიდენტის ერთობლივი სადილი გაიმართა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით,

– სომხეთის პრემიერმა საერთო ბაზრის აშენების შესახებ განაცხადა, რაც მომეწონა და ავიტაცე, – ამბობს ივანიშვილი.

აღნიშნული განცხადება სომხეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ივანიშვილმა შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

– ბატონმა პრემიერმა განაცხადა, რომ ჩვენ საერთო ბაზარი უნდა ავაშენოთ, რაც მე ავიტაცე და მომეწონა. კარგი იქნება, თუ ჩვენ საერთო ბაზრების ინტეგრირებას გავაკეთებთ. ეს საერთო ეკონომიკის აღორძინებას გააიოლებს. ჩვენი გუნდი მაქსიმალურად მოწოდებულია, რომ მეგობარ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები გავაღრმავოთ და გაიზარდოს, – განაცხადა ივანიშვილმა.

– ორი ქვეყნის ლიდერებს შორის ძალიან თბილი შეხვედრა გაიმართა. ეს ბევრ საკითხზე ინფორმაციის გაცვლის საშუალებას მოგვცემს

რატომ არ ინტერესდება ხელისუფლება ვარძელაშვილითა და ახვლედიანით

გულიკო ბალაძე

გუშინ „უფლებადამცველთა გაერთიანებამ" პრესკონფერენციაზე წარმოადგინა მძღოლთა საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც ათეულობით ადამიანია გაერთიანებული.

„უფლებადამცველთა გაერთიანება", დამსახურებული მწვრთნელები და მძღოლობის სფეროში დამსახურებული ადამიანები ავთანდილ ბერიძე, გივი ბედოშილი, ტარიელ ბიწაძე, დათო ჯარაშნელი, თამარ შანიძე, რეზო კობიაშილი, მიშა მეხუბულაშვილი, ირაკლი გოზალიშვილი, გიორგი გოზალიშვილი და გია კოტარია პროკურატურისაგან მოითხოვენ იმ ქმედებების გამოძიებას, რომელიც ჩაიდინა სააკაშვილის ხელისუფლების დროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა და მძღოლთა ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე ახვლედიანმა.

ასევე მათი მოთხოვნაა, აღდგეს სამართლანობა, მძღოლთა ფედერაცია დაუბრუნდეს მძღოლებს და ეს სფერო პოლიტიკური დაკვეთებისაგან გათავისუფლდეს.

– ეს ის ხალხია, რომელმაც არაერთი სიხარული მოუტანა საქართველოს. ესენი არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები, ოლიმპიადის მონაწილეები, საბჭოთა კავშირის გათამაშების პრიზიორები, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში ისინი იქცნენ ჩარეცხილებად მძღოლობის ფედერაციაში, ვინაიდან გახლდნენ წინააღმდეგი იმ პოლიტიკისა, რომელსაც ატარებდა მძღოლობის ფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრე ახვლედიანი. ის დასვა ლადო ვარძელაშვილმა.

ალექსანდრე ახვლედიანს არავითარი შეხება სპორტთან არ ჰქონია. ის არის ყოფილი პოლიციელი და, საერთოდ, შეხება არ აქვს მძღოლობასთან, – განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით:

– ალექსანდრე ახვლედიანი დანიშნეს მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ეს დარგი, მძღოლობა გამოყენებულიყო თანხების აკუმულირებისთვის, ხოლო მძღოლები გამოყენებულიყვნენ პოლიტიკურ ინსტრუმენტად.

რაში გამოიხატა ცნობილი მძღოლების პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენება? ამის საპასუხოდ „უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე აცხადებს, რომ წინა ხელისუფლებამ მძღოლები გამოიყენა ოპოზიციასთან ბრძოლის იარაღად.

ნიკოლოზ მჟავანაძეს მძღოლების პოლიტიკურ იარაღად გამოყენების კონკრეტული მაგალითიც მოჰყავს.

ნიკოლოზ მჟავანაძემ აღნიშნა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას სამტრედიაში, კახეთსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მძღოლები ჩაჰყავდა, არბევდა „ქართული ოცნების" აქტივისტებს და მათ ძალიან დიდ პრობლემებს უქმნიდა.

– მძღოლების პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენება ხდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამტრედიაში მომხდარი ფაქტი, როცა კახი კალაძის საარჩევნო შტაბს თავს დაესხნენ და იქ უამრავი ადამიანი გალახეს.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნიკოლოზ მჟავანაძის მტკიცებით, სამტრედიის დარბევასა და კახი კალაძის საარჩევნო შტაბზე თავდასხმაში პირადად მონაწილეობდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის ყოფილი მინისტრი ლადო ვარძელაშვილი და მძღოლთა ფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრე ახვლედიანი.

– სამტრედიაში მაშინ იქ ვარძელაშვილი და ახვლედიანი იყვნენ ჩასულები და პირადად მონაწილეობდნენ ოპოზიციის წარმომადგენლებზე თავდასხმასა და ფიზიკურ ძალადობაში, – ირწმუნება ნიკოლოზ მჟავანაძე.

პრესკონფერენციაზე წარმოდგენილი ძალოსნები კი წინააღმდეგი იყვნენ იმ პოლიტიკისა, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება ატარებდა საზოგადოების განსხვავებულად მოაზროვნე ნაწილისა და, საერთოდ, ოპოზიციის მიმართ. ამიტომ, ისინი განდევნილ იქნენ მძღოლთა ფედერაციის ცხოვრებიდან.

– ეს ადამიანები კი, რომლებიც აქ არიან წარმოდგენილები, პოლიტიკურ დაკვეთებს არ ასრულებდნენ და წინააღმდეგი იყვნენ იმ პოლიტიკისა, რასაც ატარებდა ახვლედიანი. ამიტომ გაათავისუფლეს.

„უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, რომ ცნობილი მძღოლები ლადო ვარძელაშვილსა და ალექსანდრე ახვლედიანს ამხელენ თანხების არამიზნობრივ ხარჯვაშიც.

– რეალურად, მძღოლთა ფედერაციისთვის განკუთვნილი თანხები არ იხარჯებოდა სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის და ხსენებული ხელმძღვანელების პირად კეთილდღეობას ხმარდებოდა.

მძღოლები ალექსანდრე ახვლედიანს ამხელენ ასევე, რომ ხდებოდა სპორტული შეჯიბრებების შედეგების გაყალბებაც.

– ხდებოდა სპორტული შეჯიბრებების შედეგებისა და რეკორდების გაყალბება. მძღოლობის ვეტერანებს არავინ არაფერს ეკითხებოდა. მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის დასაყრდენად იქცა. ამის გარდა, ალექსანდრე ახვლედიანი დღესაც აგრძელებს ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობას..

– ბატონო ნიკა, ახვლედიანი დღესაც მძღოლობის ფედერაციის პრეზიდენტია?

– დიახ. ჩვენ გვაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ მან 2012 წლის 15 დეკემბერს არაკანონიერად ჩაატარა არჩევნები. გაუგებარია ახალი ხელისუფლების პოზიცია, რატომ არ ინტერესდება ახვლედიანითა და ვარძელაშვილით. ახვლედიანი დარბევებში მონაწილეობდა, ზონდერჯგუფის ხელმძღვანელი იყო, ხალხი დაჰყავდა დასარბევად, თანხების განკარგვასთან დაკავშირებით სერიოზული კითხვებია, ორი წელია საქართველოში მძღოლობაში არაფერი წარმატება არ ყოფილა, ახვლედიანი ვარძელაშვილის კაცი იყო, რატომ არ ინტერესდებიან მათ მიერ ჩადენილი ქმედებებით სათანადო ორგანოები?

ნიკოლოზ მჟავანაძე მოუწოდებს პროკურატურას, გამოიძიოს ის ფაქტები, რაზეც მათ ისაუბრეს.

– ჩვენთვის პრობლემა არ არის განცხადების შეტანა პროკურატურაში. უახლოეს პერიოდში განცხადებასაც შევიტანთ, მაგრამ როდესაც ინფორმაცია საჯარო ხდება და ცნობილი ხდება სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის, მათ აუცილებლად უნდა დაიწყონ გამოძიება.

კოჰაბიტაციის პროცესი არ ნიშნავს იმას, რომ რეალურად ადამიანებმა პასუხი არ უნდა აგონ ჩადენილ დანაშაულზე. ამ ადამიანებს პასუხი მოეთხოვებათ იმისა გამო, რომ რეალურად ასეთი ქმედებები ჩაიდინეს.

ჩვენ მოვითხოვთ პროკურატურისაგან, რომ მოახდინოს მყისიერი რეაქცია დანაშაულის მიმართ. პროკურატურა მხოლოდ და მხოლოდ იმით დაკავებული არ იყოს, რომ რაღაც ვიდეოები აჩვენოს, ხალხი მიჰყავდეს-მოჰყავდეს და რაღური შედეგები არ იყოს.

– როცა ამბობთ, თანხების არამიზნობრივი ხარჯვა ხდებოდაო, კონკრეტულად, რა თანხებზეა საუბარი?

– ბიუჯეტიდან გამოიყოფოდა თანხები რომ მოხმარებოდა სპორტის ამ დარგის განვითარებას. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს ფული, რეალურად, არ მოხმარებია მძღოლობას. მძღოლობის ფედერაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფული მათ პირად კეთილდღეობას ხმარდებოდა. მძღოლთა ფედერაციამ გასულ წელს საკმაოდ დიდი დაფინანსება მიიღო.

არსებობს ეჭვი, რომ ისინი შეკრული იყვნენ სამშენებლო ფირმასთან და თითქოს რაღაცას აკეთებდნენ, მაგრამ მძღოლობისთვის არაფერი ღირებული არ გაკეთებულა. შარშან, როცა ვარძელაშვილი მივიდა, დააანონსეს, თითქოს მძღოლობაში რაღაც უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ იქ ისეთი არაფერი გაკეთებულა, სპორტსმენებმა უკეთ რომ იგრძნონ თავი და მოემზადონ.

ამის გარდა, გამოყოფილი იყო თანხები სპორტსმენების უცხოეთსა და საქართველოში საწვრთნელი შეკრებების მოსაწყობად, მაგრამ მხოლოდ თბილისში ხდება შეკრებები, რომელიც არაფრის მომტანი არ არის. სპორტის დამსახურებული ოსტატები, საქართველოს ნაკრების მწვრთნელები და ტიტულოვანი ადამიანები ახვლედიანმა ყველა გაყარა. ის ახორციელებდა იმ კურსს, რომელსაც სააკაშვილი ატარებდა იმ სახელოვანი ადამიანების მიმართ, რომლებიც მის კურსს ეწინააღმდეგებოდნენ.

– ეს პიროვნება სააკაშვილის დროსაც გახლდათ მძღოლთა ფედერაციის პრეზიდენტი და ახლაც ის არის?

– დიახ. ამ ხალხის აღშფოთების მიზეზიც სწორედ ესაა. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, ახვლედიანი არა მხოლოდ უნდა გადადგეს, არამედ პასუხი უნდა აგოს იმ ქმედებებზე, რომელიც, ჩვენი აზრით, დანაშაულია და გამოძიება უნდა ჩატარდეს.

– რა რაოდენობით თანხებზეა საუბარი?

– როგორც ჩემთვის ცნობილია, საუბარია დიდი ოდენობით თანხებზე. ახლა ამის დადგენა ხდება.

ელისო კილაძე: „ბედუკაძის დაბრუნება ბევრ რამეს ნათელს მოჰფენს"

თამარ ნინიძე

ციხის გახმაურებული კადრების ავტორი ლადო ბედუკაძე საქართველოში სავარაუდოდ დღეს ან ხვალ ჩამოვა. პროკურატურამ მას წითელი ცირკულარით ძებნა მოუხსნა და ის მზად არის, ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან ყველა იმ ეპიზოდზე, რომელიც მისთვის არის ცნობილი და რომელშიც მას შეუძლია მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება გამოძიებისთვის. ამასთან დაკავშირებით „ახალი თაობა" არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი საქართველოს" თავმჯდომარეს ელისო კილაძეს ესაუბრა.

– ციხის სკანდალური კადრების გამავრცელებელი ლადო ბედუკაძე, როგორც ცნობილი გახდა, დღეს ტოვებს ბელგიას და საქართველოში ბრუნდება. მისი საქმის ირგვლივ რა სიახლეებია?

– ლადო ბედუკაძე იძებნებოდა იმის გამო, რომ ის მიიჩნეოდა მიხეილ სააკაშვილის ნომერ პირველ მტრად. როცა ამ ჯგუფმა ეს კადრები პირველად გაიტანა ქვეყნის გარეთ და დაიწყეს შეხვედრები წამების კომიტეტში, ყველა აღშფოთებული იყო და ნათქვამი იყო, რომ ეს უნდა ყოფილიყო კონფიდენციალური ინფორმაცია მანამ, სანამ ამ ფირების ავტორის ოჯახი საქართველოდან არ გავიდოდა. დეპუტატი წამების კომიტეტში მწვანეთა პარტიიდან კი იმდენად აღშფოთდა, რომ დაიბარა ჩვენი ელჩი ბელგიაში სალომე სამადაშვილი, კატეგორიულად დაუსვა შეკითხვა, რა ხდება თქვენს ციხეებშიო. სამადაშვილმა უპასუხა, არაფერი ხდება, ევროპულ ციხეს ვაშენებთ, რითიც ფრანგებიც კი გავაკვირვეთო. როგორ, ჩვენ ვნახეთ ეს კადრები, სადაც პატიმრებს საშინლად აწამებენო, უპასუხა ამ დეპუტატმა. სამადაშვილმა სასწრაფოდ დარეკა თბილისში, აქ ჩაერთო ზურაბ ადეიშვილის გეგმა, რომელიც მან დადგა ფხალაძისა და ბორის ფარულავას მეშვეობით, მათ არ იცოდნენ, რომ ციხის კადრებს ვიდეოფირზე იღებდნენ, ამ გეგმის თაობაზე რომ არა გაგა მკურნალიძის და ცხრა დაპატიმრებული მაღალჩინოსნის ჩვენებები, ალბათ დიდხანს ვერაფერს გავიგებდით. მკურნალიძე ალაპარაკდა, მან გადაწყვიტა, რომ ჩვენება უნდა მისცეს, მხოლოდ ამის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ადეიშვილმა დაგეგმა ეს და წინასწარ გავიდა ტელევიზიით. ლადო ბედუკაძეზე გამოცხადდა ძებნა. მათ არ იცოდნენ ამ კადრების შინაარსი სრულად, საპასუხოდ სხვა ვერსიები ვერ მოიფიქრეს. ბოლო მომენტამდე ბედუკაძე ბელგიაში იმყოფებოდა, ინტერპოლის მიერ იძებნებოდა, მას არ ჰქონდა ქვეყნის დატოვების უფლება, მან მოითხოვა ბელგიაში პოლიტიკური თავშესაფარი. სამწუხაროდ, მოხდა დაპირისპირება ამ ორ ფრთას შორის. ჩემი ვარაუდით, ესეც იყო ადეიშვილის გეგმის ნაწილი. როგორც შემდეგ გაირკვა, ნაცმოძრაობამ მიზნად დაისახა ციხის კადრების სრული დისკრედიტაცია.

– რა იგულისხმება ამ დისკრედიტაციაში?

– პირველი გახლავთ ის, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის ეს ვითარება ისევ გრძელდება, მეორეც, ნაცმოძრაობის იდეოლოგები აცხადებენ, რომ ცოცხების სცენა დადგმულია, გია ნოდიას პასუხად მინდა ვუთხრა, რომ ეს არის აბსოლუტური ტყუილი, არაერთი პატიმარია, რომელიც ადასტურებს, რომ ცოცხებს ნამდვილად იყენებდნენ პატიმრების დასასჯელად, ხან ფეკალიებში ალბობდნენ, ხან წყალში და ზუსტად იმ დანიშნულებით იყენებდნენ, რა დანიშნულებითაც ჩვენ ეს ვნახეთ გავრცელებულ კადრებში. ლადო ბედუკაძეს არასოდეს დაუმალავს, რომ ეს კადრები არის ფსიქიკურად დაავადებულ პატიმარზე ზემოქმედება და მისი დაცინვა, რატომ ჰგონიათ სააკაშვილის რეჟიმის იდეოლოგებს, რომ ფსიქიკურად დაავადებული პატიმრის შეურაცხყოფა ნაკლები დანაშაულია, ვიდრე პატიმრის წამება, არ მესმის. მესამე ეტაპი სავარაუდოდ ახლა დაიწყება, ეს არის ციხის კადრების მიბმა რუსულ სპეცსამსახურებთან და მათ მიერ ფულის გადახდა ამ საქმეში. ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ რუსული სპეცსამსახურების კვალი აქ არ არის, ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი ინფორმაცია მოვაგროვე, ბედუკაძემ კიდევ ერთხელ გუშინ დამიდასტურა, რომ მზად არის ითანამშრომლოს გამოძიებასთან, ფასდაუდებელი როლი შეასრულა ბედუკაძემ სერგო თეთრაძის წამებით მოკვლის საქმის გახსნაში, მისი ჩვენება იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი, ის მზად არის გამოძიებასთან ითანამშრომლოს ყველა საკითხთან დაკავშირებით. მათ შორის იყო ჭორი, რომ ბედუკაძეც იყო ჯალათი, რომ ის აწამებდა პატიმრებს თვითონაც, კადრებში ისმის მისი ხმა, მან ახსნა, რომ არ ყოფილიყო მისი ხმა, მას ამ კადრებს არ გადააღებინებდნენ. რაც შეეხება პატიმრების მისამართით მოპყრობის კადრებს, ვერ ვნახე პატიმარი, რომელიც ადასტურებდა, რომ ბედუკაძე მათ აწამებდა და ცუდად ეპყრობოდა. პირიქით, ისინი იხსენებენ, რომ მისი მორიგეობის დროს შვებას გრძნობდნენ. გლდანის ციხეში იყო სადისტური წესი, სამიდან ხუთ წუთამდე პატიმარს დაბანა უნდა მოესწრო, პატიმრები კვირაში ერთხელ გაჰყავდათ საბანაოდ, ეტყობა ამ წესების ავტორი ბაჩანა ახალაია ვერასოდეს იფიქრებდა იმას, რომ თვითონაც პატიმარი იქნებოდა და მაინტერესებს, იგივე წესი მასზე ვრცელდება თუ არა. თუ ემთხვეოდა ბედუკაძის მორიგეობას პატიმრების საბანაოდ გაყვანა, ის თხუთმეტ წუთამდე მაინც აცდიდა დაბანას.

– რუსეთის სპეცსამსახურებთან დაკავშირებული ეს მოსაზრება საიდან გაჩნდა?

– სამწუხაროდ, ლადო ბედუკაძის გარშემო აღმოჩნდნენ ადამიანები ემიგრაციაში მყოფები, რომლებიც არცთუ მთლად კეთილსინდისიერად იქცეოდნენ, დაზვევრვის ყოფილი პოლკოვნიკი ვიქტორ ჭელიძე, ემიგრანტი დავით სილაგაძე, იქაური ე.წ. კბილის ექიმი მარინა ბარბაქაძე, რომელიც თაღლითობისთვის იყო ნასამართლევი, იგორ გიორგაძის დროს ეს ქალი უშიშროების სამინისტროში მუშაობდა და ურთიერთობები ჰქონდა. იქ ითქვა, რომ ამ ადამიანებს კონტაქტი ჰქონდათ ვლადიმერ ხომერიკთან. ეს პირები არ არიან ლადო ბედუკაძის მეგობრები და ამ პროცესში ჩართული ადამიანები, მათ გადაწყვიტეს, რომ ამ კადრებთან მიტმასნებით რაღაც ხეირს ნახავდნენ. როცა ლადო ბედუკაძემ განაცხადა, რომ ის მზად არის გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის, მაგრამ იქ მისმა იქაურმა ადვოკატმა ურჩია, არ წამოსულიყო საქართველოში მანამ, სანამ მასზე ძებნა წითელი ცირკულარით არ იქნებოდა მოხსნილი, სილაგაძე ბედუკაძეს აიძულებდა, დაუყოვნებლივ წამოსულიყო საქართველოში, მას დააკავებდნენ ბელგიის აეროპორტში, მოუწევდა მარტოს ბელგიის ციხეში რამდენიმე თვის გატარება და იქ მისი უსაფრთხოებაც არ იქნებოდა დაცული, ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებს აძლევდათ ხელს. კარგია, რომ მან ეს გადაწყვეტილება ცხელ გულზე არ მიიღო. პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება და მას ინტერპოლით ძებნა მოეხსნა. საღამოს ის უკვე თურქეთში იქნება და გადმოფრინდება თბილისში.

– იქნება დავაზუსტოთ, რომელი იყო ადეიშვილის მიერ ფალსიფიცირებული კადრები და რომელი იყო ბედუკაძის მიერ გადაღებული?

– როცა ადეიშვილმა გაიგო ციხიდან კადრების გატანის შესახებ, სურდა, მოვლენებისთვის დაესწრო, გადაიღეს სცენა ფარულავას და ფხალაძის მეშვეობით პატიმრის ცემის, ესენი იყვნენ გლდანის ციხის თანამშრომლები, აჩვენეს ეს ტელევიზიით, შეითხზა ვერსია, რომ ეს მოხდა თამაზ თამაზაშ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ცაგარეიშვილი მერაბიშვილს სანერგე მეურნეობის განადგურებაში ადანაშაულებს

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობის გენმდივანი შავ დღეშია. სამართალდამცავებს მასთან ისევ აქვთ კითხვები. ამის პარალელურად, ნოდარ ხადურთან დებატებისთვის ემზადება. მათი ტელედუელი 22 იანვარს უნდა შედგეს. ამბობენ, რომ მერაბიშვილი საგულდაგულოდ ემზადება. ნაციონალებს იმედი აქვთ, რომ ის ხადურს გააცამტვერებს. არადა, დიდი ალბათობაა, რომ მას საბრძოლო განწყობა ცოტა დაუქვეითდეს. საქმე ის გახლავთ, რომ მას კიდევ ერთი ცოდვა ამოუქექეს.

პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე გია ცაგარეიშვილი მას სანერგე მეურნეობის განადგურებას სდებს ბრალად. ცაგარეიშვილმა, ხერხემალთან ერთად, შარში ენერგეტიკის ექსმინისტრი ალეკო ხეთაგური გახვია.

გია ცაგარეიშვილის განცხადებით, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და ყოფილმა ენერგეტიკის მინისტრმა ალეკო ხეთაგურმა 2012 წელს გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში არსებული სანერგე მეურნეობა განადგურებამდე მიიყვანეს.

– ენერგეტიკის სამინისტროს გამგებლობის სფეროში რიცხული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის საკუთრებიდან უკანონოდ ამორიცხული იყო 88 ათასი კვადრატული მიწის ფართობი, რომელიც შპს ,,ქართულ კურდღელს" გადაეცა. ჩვენი ინფორმაციით, ამ კრიმინალურ საქმიანობაში ჩართული იყო ,,ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი ივანე მერაბიშვილი და იმჟამინდელი საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური, – აღნიშნა ცაგარეიშვილმა საგანგებოდ გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

მისი განმარტებით, აღნიშნული ქმედების მიზანი იყო, ერთი მხრივ, სანერგე მეურნეობის განადგურება და მოსპობა, ხოლო მეორე მხრივ – მატერიალური სარგებლის მიღება.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, მეურნეობა, რომლის დანიშნულება ნერგების გამოყვანა, გავრცელება და ტყეების განვითარებაა, ფაქტობრივად, ორ ნაწილად გაიყო და ის თავის ფუნქციას ვეღარ ასრულებს.

,,ამ სანერგის განვითარების გარეშე ჩვენს ტყეებს მომავალი არ აქვს. საქართველოში სხვა სანერგე არ არსებობს. ის უნიკალურია, რომლის განვითარებაშიც მსოფლიო ბანკს და ძალიან ბევრ სამთავრობო და არასამთავრობო უცხოურ ორგანიზაციას აქვს წვლილი შეტანილი. სანერგეში მილიონობით დოლარია ჩადებული და მისი მსგავსი ამერკაკასიის რეგიონში არ არსებობს", – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი ეკონომიკის სამინისტროს ტერიტორიის სანერგე მეურნეობისთვის დაბრუნების მოთხოვნით მიმართავს.

ზუგდიდში სააკაშვილს კუბო დაუდგეს

თენგიზ გუნავას კი სამეგრელოს სირცხვილი უწოდეს

შორენა მარსაგიშვილი

ზუგდიდში პოლიტიკური ტემპერატურა მაღლა და მაღლა იწევს. ემოციური მეგრელები პოლიტიკაში ყოველთვის აქტიურად ერეოდნენ. ახლა

კი განსაკუთრებით აქტიურობენ. გავრცელებული ცნობით, ეს ბოლო დროს გავრცელებულ ცნობებს უკავშირდება.

გავრცელებული ცნობით, მიხეილ სააკაშვილი სამუშაოდ ზუგდიდის რეზიდენციაში აპირებს გადასვლას. ამ ამბავმა ზუგდიდელები დიდად არ გაახარა. ზუგდიდში არც თენგო გუნავას გუბერნატორობა გახარებიათ.

სერიოზული ალიაქოთი სამეგრელოს გულში, ზუგდიდში, 15 იანვარს ატყდა. ამ დღეს აქ კონსტიტუციაზე ბაასობდნენ. დეპუტატების გარდა, შეხვედრას მოსახლეობაც ესწრებოდა. მათ განსაკუთრებული აგრესია აკაკი ბობოხიძის მიმართ გამოხატეს. ის ჯერ დარბაზიდან გააძევეს, შემდეგ კი კვერცხები დაუშინეს. ერთმა ქალმა მას ცოცხიც კი მოუღერა.

ცოცხის მოღერება და კვერცხის სროლა ზუგდიდელებს ას-ასი ღარი დაუჯდათ. მათ სასამართლომ ასლარიანი ჯარიმა დააკისრა. ჯარიმამ ზუგდიდელები ვერ გატეხა და მათ მორიგი აქცია გუშინ გამართეს.

ზუგდიდში სამხარეო ადმინისტრაციის შენობის წინ ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. ისინი თენგო გუნავას გუბერნატორად დანიშვნას აპროტესტებდნენ და წინა ხელისუფლების მიერ საპარლამენტო არჩევნებზე წარდგენილ კანდიდატებსა და ყოფილ გუბერნატორებს აკრიტიკებდნენ.

აქციას ორგანიზება „დაიცავი საქართველოს" ზუგდიდის ფრთამ გაუკეთა. აქციას იგორ გიორგაძისა და ზვიად გამსახურდიას მომხრეებიც შეუერთდნენ. პროტესტანტების მთავარი მოთხოვნა პრეზიდენტ სააკაშვილის 20 იანვარს გადადგომა იყო.

– კონსტიტუციის მიხედვით, სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა 5 იანვარს ამოეწურა და დამატებით ათი თვით მის მიერ უფლებამოსილების გაზრდა წინააღმდეგობაში მოდის კანონთან. ამიტომ მოვითხოვთ, პრეზიდენტმა პატივი სცეს ასიათასობით მოქალაქის მიერ დაფიქსირებულ ხელმოწერას მისი გადადგომის აქტზე და დატოვოს თანამდებობა, – განუცხადა „ფრონტ ნიუსს" აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

აქციის მიმდინარეობისას პერფორმანსი სახელწოდებით „ცოცხლად მკვდარი" გაიმართა, რომლის ფარგლებშიც ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე განთავსებულ რწმუნებულის ადმინისტრაციის შენობას სიმბოლურად, მეგრული ტრადიციების დაცვით, 3-ჯერ შემოატარეს კუბო, რომელშიც პრეზიდენტ სააკაშვილის ფიტული იყო მოთავსებული. მოქალაქეებმა ადგილზე ცოცხებიც მიიტანეს, რომლებზეც ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა და ამჟამინდელი საპარლამენტო უმცირესობის წევრთა ფოტოები იყო დამაგრებული.

როგორ გადავაყენოთ პრეზიდენტი

„ერთსულოვნება" პარლამენტს წინადადებით მიმართავს

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ შუადღეს დაანონსეს მიხეილ სააკაშვილი საგანგებო ბრიფინგს მართავს და ახალი ინიციატივით გამოვა. ეჩის ნანიმა იფიქრა, სააკაშვილმა შესაძლოა გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთოსო. მას ხომ 20 იანვარს ეწუხება საპრეზიდენტო ვადა. სააკაშვილმა გადადგომაზე არაფერი თქვა. სამაგიეროდ ახალი ხელისუფლება გააკრიტიკა.

პრეზიდენტის გადადგომაზე აქტიურად მუშაობენ კოალიცია „ერთსულოვნების" წარმომადგენლები. კოალიცია 50 ორგანიზაციას აერთიანებს. მათ უკვე მოაგროვეს მილიონამდე ხელმოწერა. აქტიურ მოქმედებებზე ისინი 20 იანვრიდან გადავლენ. ისე არც მანამდე ყოფილან პასიურ მდგომარეობაში. თითქმის მთელი საქართველო მოიარეს.

ახალი ხელისუფლება მის იმპიჩმენტს არ აპირებს. „ერთსულოვნება" დანებებას არ გეგმავს. მათ ახალი იდეა მოიფიქრეს და პარლამენტს ღია წერილით მიმართეს. ამ წერილს „ახალი თაობა" მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ.

– დღეს მომქმედი კონსტიტუციის ნორმები შესაძლებლობას იძლევა – „პრეზიდენტის უფლებამოსილების უწყვეტობის" – პრინციპის გათვალისწინებით გადაიჭრას ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანა. და აი, როგორ:

ა) კონსტიტუციის მუხლი 70,1-ით – „...საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით...", ანუ მისი უფლებამოსილება, კონსტიტუციის თანახმად, მკაცრადაა შემოზღუდული – 5 წლით;

ბ) იქვე, კონსტიტუცია მართალია აკანონებს სახელისუფლო შტოების უწყვეტობას:

– „პარლამენტის უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე" ანდა

– „...პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე"; მაგრამ

გ) კონსტიტუციაში იქვე გათვალისწინებულია ორი ისეთი შემთხვევის ალბათობაც, როდესაც პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელება, მიზეზთა გამო, შეუძლებელი ხდება. კერძოდ, კონსტიტუციის 76-ე მუხლში ვკითხულობთ:

„საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე,

– ერთის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში [თანამდებობიდან საკუთარი ნებით გადადგომა; იმპიჩმენტის გამოცხადება და სხვა, რაც ჩვენს რეალობაში – 2013 წ. 20 იანვრამდე მოსალოდნელ შემთხვევებს გულისხმობს], კონსტიტუციის თანახმად:

„პრეზიდენტის არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის დროიდან 45 დღის განმავლობაში და მის ჩატარებას უზრუნველყოფს პარლამენტი" (მუხლი 76,3); და მეორეს მხრივ, კონსტიტუცია წინასწარ განსაზღვრავს, ანუ უშვებს, რომ შეიძლება შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე მყოფ პირს, მიზეზთა გამო, აღარ ეძლევა თავისი უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა.

ამასთანავე, კონსტიტუცია არსად არ ითვალისწინებს, თუ რა იგულისხმება – „საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობაში", რამეთუ, ვფიქრობთ რომ, ამის აუცილებლობა არც დგას. და აი, რატომ

როგორც ითქვა, კონსტიტუციის თანახმად – „...საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით...",

ამ 5 წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, პრეზიდენტის პოსტზე მყოფ პირს [განმეორებით ჩატარებულ არჩევნებში გამარჯვების გარეშე], უკვე აღარ აქვს უფლება ეკავოს ეს თანამდებობა, ანუ ამ ვადის ამოწურვის დღიდან საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე მისი ყოფნა უკანონო იქნება, და წინააღმდეგობაში მოვა – არა მარტო ამ: 70,1 მუხლთან, არამედ 5,3 მუხლთანაც, რომელიც გამოკვეთილად ამბობს – „არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება,

ამ მცირე განმარტების შემდეგ, თუ დავუბრუნდებით 76,1 მუხლის პირველ წინადადებას, ნათელი გახდება, რომ მასში განსაზღვრული – „საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის..." შემთხვევა:

– ითვალისწინებს არა მარტო იმას, რომ ამ თანამდებობაზე მყოფი პირი, ვთქვათ – გარდაიცვალა; ან – მძიმედ არის ავად; ანდა, მიზეზთა გამო, ქვეყნის ფარგლებს გარეთაა გადახვეწილი; არამედ

– მუხლი 5,3-ის პრინციპიდან გამომდინარე, განსახილველი მუხლი 76,1-ის მითითებული მოთხოვნა, წინასწარვე უშვებს იმის ალბათობასაც, რომ ამ პირს – ამ თანამდებობაზე ყოფნის კანონიერი საფუძველი აღარ აქვს.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, როგორც ვიცით:

– მ. სააკაშვილს, საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის ხუთწლიანი ვადა 2013 წ. 20 იანვარს ეწურება; და, შესაბამისად, ამ დღიდან მოყოლებული, მას აღარ აქვს დაკავებულ თანამდებობაზე დარჩენის – კანონიერი [კონსტიტუციით განსაზღვრული] უფლება.

ამდენად, კონსტიტუციით განსაზღვრული – თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილების უწყვეტობა, მკაცრადაა შემოფარგლული 5 წლიანი ვადით [მუხლი 70,1], და არ არის დამოკიდებული – ახალარჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილების მიღების დროზე (იხ. მუხლი 71,2), ვინაიდან, კონსტიტუციის, განსახილველი 76,1 მუხლი, სწორედაც რომ, მხოლოდ, სავარაუდო – საგანგებო მდგომარეობის დასარეგულირებელ მექანიზმს წარმოადგენს.

როგორც ვნახეთ კონსტიტუციის – მუხლი 76,1 ორ შემთხვევას ითვალისწინებს:

– აშკარაა, რომ 2008 წ. 20 იანვრიდან ათვლით, მ. სააკაშვილს, საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე, კონსტიტუციის მუხლი 70,1-ით გათვალისწინებული 5 წლიანი ვადა – 2013 წ. 20 იანვარს ამოეწურება. შესაბამისად, ამ დროიდან ათვლით მისი პრეზიდენტის თანამდებობიდან ჩამოცილება, ვერ იქნება – „საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევა";

– ზემოთქმულიდან გამომდინარე, 2013 წლის 20 იანვრიდან, ანუ მ. სააკაშვი-ლისათვის 5 წლიანი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, ძალაში შედის მუხლი 76,1-ის პირველი მოთხოვნა, ანუ სახეზე იქნება: კანონიერად – „საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის" მდგომარეობა.

მაშასადამე, 2013 წლის 20 იანვრამდე, მ. სააკაშვილს, კონსტიტუციის ნორმათა (მუხლი 70,1) სრული დაცვით ექნება საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა დაკავებული; და მისი მხრიდან კონსტიტუციური ნორმის [მუხლი 5,3 და მუხლი 70,1] დარღვევა, მხოლოდ – 2013 წ. 20 იანვრის შემდგომად, პრეზიდენტის თანამდებობაზე მისი დარჩენის შემთხვევაში დაფიქსირდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა, პრობლემის კონსტიტუციურ (მუხლი 5,3; მუხლი 70,1 და 9; მუხლი 71; მუხლი 76,1) მოთხოვნათა სრული დაცვით გადაჭრის მიზნით, დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს ინიცირება მის მიერ მისაღები სპეციალური გადაწყვეტილებისა:

– „მიხეილ სააკაშვილისთვის 2013 წლის 20 იანვარს საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით".

აღნიშნული გადაწყვეტილების პროექტი, სავარაუდოდ ასეთი სახის უნდა იყოს:

საქართველოს პარლამენტის დადგენილება „მიხეილ სააკაშვილისთვის 2013 წლის 20 იანვარს საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით"

1. ვითვალისწინებთ რა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 70,1-ის გათვალისწინებით – „საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით...";

2. ვითვალისწინებთ რა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 5,3-ის თანახმად – „არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება";

3. ვითვალისწინებთ რა, რომ 2008 წ. 5 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნების გამოცხადებულ შედეგებზე დაყრდნობით, კონსტიტუციის 71-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, მ. სააკაშვილი მიერ საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების მიღებიდან – 2008 წ. 20 იანვრიდან ათვლით, კონსტიტუციის მუხლი 70,1-ით გათვალისწინებული 5 წლიანი ვადა – 2013 წლის 20 იანვარს იწურება;

და

4. ვითვალისწინებთ რა, რომ კონსტიტუციის მუხლი 76,1-ის თანახმად – 2013 წ. 20 იანვრიდან ათვლით, საქმე გვექნება მ. სააკაშვილის მხრიდან, კანონიერად – „საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის..." შემთხვევასთან,

ვადგენთ:

1. კონსტიტუციის მუხლი 70,1-ის გათვალისწინებით, მ. სააკაშვილის მიერ საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის 5 წლიანი ვადა ამოწურულად ჩაითვალოს – 2013 წ. 20 იანვარს;

2. კონსტიტუციის მუხლი 76,1-ის გათვალისწინებით, ვინაიდან 2013 წლის 20 იანვრიდან, ადგილი ექნება, მ. სააკაშვილის მხრიდან, კანონიერად – „საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის..." შემთხვევას, კონსტიტუციის მუხლი 76,1-ის შესაბამისად – საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება დაევალოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს;

3. კონსტიტუციის მუხლი 70,9-ის მოთხოვნის გათვალისწინებით საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ჩატარდეს 2013 წლის ოქტომბრის პირველ კვირა დღეს.

როგორც მოგეხსენებათ, კონსტიტუციის მუხლი 67,1-3 შესაბამისად, აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის დაფიქსირების შემდეგ, მისაღებ გადაწყვეტილებას შეიძლება მიეცეს – „კანონის", „ორგანული კანონის" ან

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ნუ მივატოვებთ მოხუცებს

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

11 იანვარს ჩემი სტატია დაიბეჭდა ,,ახალ თაობაში“ უმწეოთა იმ სასადილოს შესახებ, რომელიც ჭიათურაში ფუნქციონირებს. როცა უმწეოებთან ვიყავი პირველად, მივხვდი, რომ ამ მოხუცებსა და შეზღუდული უნარების მქონე ადამიანებს მედიასთან და საერთოდ, ადამიანებთან კონტაქტი უნდოდათ არა ერთჯერადად, არამედ ძალიან ხშირად. თუ სითბოს, გულისხმიერებას ვინმე აჩვენებდათ, ეს მათთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა!

14 იანვარისათვის გადავწყვიტე, რომ დაპირებული ღვინო მიმეტანა მოხუცებისთვის. ვიცოდი, რომ მიუსაფრებს ძალიან უყვართ ტკბილეული, ხორცი და ღვინო. ამავე დღისათვის ერთმა ქალბატონმა ტკბილეულისათვის გამოყო თანხა, ხორცი კი ისედაც იყო მენიუში გათვალისწინებული. მოკლედ, სითბოსა და გულისხმიერების დეფიციტის აღმოფხვრაღა რჩებოდა, ამიტომ ჭიათურის ყველა პასუხისმგებელ პირს, რომელთანაც ვერ მივედი, ტელეფონით შევეხმიანე. ქალაქში მოქმედ ტელემედიასაც გავაგებინე და იმერეთში მიღებულ დღესასწაულზე, ძველით ახალ წელს, აღმოვჩნდით მიუსაფართა სასადილოში ,,ახალი თაობა“, ,,მეცხრე არხი“, ,,ინფო9“, ,,იმერვიზია“ და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა.

სასადილოში მხოლოდ რეგიონულმა ,,იმერვიზიამ“ მიმასწრო. როგორც კი შევაბიჯე, მაშინვე მიცნეს იმ მოხუცებმა, რომლებიც წინა მისვლისას გავიცანი. შოთა ბაბუმ და თინამ ხმამაღლა მომიკითხეს. მოხუცმა, რომელიც ძალიან გაცხარებული იყო საავადმყოფოს მთავარ ექიმზე, თავისთან მიმიხმო და მითხრა, რომ ექიმმა ალბათ ნახა ეს გაზეთიო და 11 იანვრის ,,ახალი თაობას“ ისევ ჩაუღრმავდა. ამასობაში თინამ დამიმარტოხელა და აქით დამიწყო გამოკითხვა: რამდენი შვილი მყავდა, სად შეიძლებოდა ხოლმე ჩემი ნახვა და ათასი წვრილმანი, რომელთა შორის ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, ხომ არ ჩავარდებოდა მიუსაფართა სასადილო ძველ დღეში, როცა საკვებიც არასაკამრისი იყო და ირგვლივ ანტისანიტარია სუფევდა.

რადგან ხელისუფლების მოსვლამდე წუთები რჩებოდა, ამიტომ ვიჩქარე და მოხუცებს ვუთხარი, იქნებ თავიანთი სურვილები და აზრები დაეწერათ ფურცლებზე. ფურცლებზე სწრაფად ჩამოწერეს ,,მისლი ი ჟელანია“ (რუსულად იმიტომ დავწერე, რომ მართლა ასე განაცხადა ერთმა წარმოშობით უკრაინელმა ქალბატონმა, რომელიც რუსულ სიტყვებში ქართულ სიტყვებსაც ურევდა).

ნაზი: ,,მე მინდა, რომ ქვეყანაში იყოს მშვიდობა, იქნებ სამშობლოც გაერთიანდეს. ბელა და ირინა გვიყვარს ჩვენ, ყურადღებიანი და კეთილი ადამიანები არიან, ასეთები გვჭირდება ჩვენ!“

თინა: ,,ძალიან გვეშინია ახალი ტენდერის, რა ვიცი, ვის ხელში ჩავვარდებით. იქნებ დაგვიტოვონ ისევ ჩვენი უფროსები.“

ქეთევანი: ,,მე და ჩემი ინვალიდი შვილი აქ სასადილოს დაარსებიდან დავდივართ. ეს ორი წელია, რაც კმაყოფილები ვართ ამ სასადილოთი. 70 ლარიანი პენსია არაფერში არ გვეყოფოდა, ესენი რომ არ გვეშველებოდნენ. მადლობის გარდა არაფერი მაქვს სათქმელი.“

მარია: ,,მე და ჩემი ვაჟი ინვალიდები ვართ, მე მეორე ჯგუფის, ის–პირველის ჯგუფის. კმაყოფილები ვართ მომსახურებით, მადლობას ვუცხადებ ქალბატონ ირინასა და ბელას“ (ეს წერილი რუსულად იყო დაწერილი).

ზოგმა არ დაწერა და მორიგეობით მოდიოდნენ ჩემამდე და სახლის გადახურვით დაწყებული და კვების რაციონის საკითხებით დასრულებული ყველაფერზე ნელა-პარაკებოდნენ. ბუნებრივია, რომ ვერაფერს ვერ ვპირდებოდი და თითს კარისკენ ვიშვერდი: მალე აქ მოვლენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და მათ უთხარით, მე ვერაფერს გადავწყვეტ-მეთქი.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ხელმძღვანელობამ დააგვიანა. კოლეგები და უმწეოები დიდი სიხშირით კითხულობდნენ: არ მოდიან?!

დაგვიანების მიზეზი ვიცოდი. მუნიციპალიტეტში დაგეგმილი თათბირი დროულად ვერ დასრულდა და ამიტომ მოთმინების ფიალაც ნელ-ნელა რომ ავსებოდათ მომლოდინეებს, ათასგვარი ამბების მოყოლით ვიყავი დაკავებული. ბოლოს ერთი ასეთიც მოვუყევი:

– იცით, რატომ უყვართ დაგვიანება ადამიანებს? იმიტომ რომ ღირსეული ადამიანები ყოველთვის აგვიანებენ, ყურადღების ცენტრში მოექცნენ!

რასაკვირველია, გაპროტესტებას აპირებდნენ უმწეოები ამისას, მაგრამ სასადილოში მუნიციპალიტეტის გამგებელი გამოჩნდა და კლასში ფეხზე წამომდგარი მოსწავლეები გამახსენდა, რომლებიც საყვარელ პედაგოგს დაგვიანების მიუხედავად ელოდებიან.

ასჯერ მითქვამს, ჭიათურის ახალ გამგებელს იქნებ რამე შეეშალოს, რამდენჯერაც მასზე დავწერე, სულ კარგი! არ მინდა პანეგირიკში ჩავიძირო! თქვენ წარმოიდგინეთ და ამჯერადაც არ გამიმართლა და 31 წლის გამგებელმა მისასალმებელი სიტყვა ენობრივი შეცდომის გარეშე წარმოთქვა, თან ვერცერთი თავგადაკლული ლიბერალი ,,სიძულვილის ენის“ ნატამალსაც ვერ იპოვნიდა მის საუბარში.

ჩემი მწარე სათქმელი მაინც ვთქვი: ვინც არ უნდა მოიგოს ტენდერი უმწეოთა გამოკვებაზე, აქ ხშირად შემოვივლი ხოლმე და მოხუცების პრეტენზიებს მოვისმენ-მეთქი.

რამდენიმე ცელოფნის ღურჯი პარკი მორიდებულად დადეს სასადილოს კუთხეში, მაგრამ ვერაფრით გავარკვიე, რა იყო ჩაწყობილი მათში. გადაღება მოვახერხე, მაგრამ ვერც გადაღებულის შიფრირება მოვახერხე.

სანამ ტელევიზიები გამგებელსა და სასადილოს მფლობელს კომენტარებს სთხოვდნენ, მანამდე კიდევ ერთხელ მოვავლე თვალი უმწეოთა სასადილოს. კედელზე ისევ ეკიდა პრეზიდენტის, პრემიერისა და პატრიარქის სურათები, მოხუცებს ისევ პრეტენზიები ჰქონდათ სახეზე, თუმცა ერთ ღურჯთავაალა ქალბატონს მსოფლიო სევდა ჩასწოლოდა სახეზე, თურმე შვილის გარდაცვალების შემდეგ მისი ღიმილი არ უნახავთ.

კრიტიკა და მწარე სიტყვები წყალს წაუღია, 20 ლიტრი წითელი ღვინოც. მე ამ მოხუცებთან ხშირად მივალ!

იქნებ თქვენც გაიღოთ, ნებისმიერმა, წუთები და ამ მოხუცებთან ღიმილით მიხვიდეთ ისე, კამერებისა გარეშეც...

275 გამარჯვებული ბიპისგან საჩუქრად 960 აშშ დოლარს მიიღებს

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

ბაქო-სუფსის საექსპოხტო მილსადენის გასწვრივ მდებარე სოფლებში ბიპი აპირებს საგრანტო პროექტების კონკურსის გამოცხადებას. მილსადენის 1 კილომეტრის ხადიუსში მდებარე 116 სოფლის მცხოვრებლებს აქვთ შესაძლებლობა ინოვაციური პროექტების წარდგენების შემთხვევაში მიიღონ 1200 დოლარის ღირებულების გრანტი. მართალია, რომ ამ თანხიდან 20%-იანი დაქვითვა ხდება და გამარჯვებულებს გადაეცემათ 960 დოლარის ექვივალენტი ლარში.

სამიზნე თემებიდან 275 გამარჯვებული გამოვლინდება, რომელთაც ექნებათ ისეთი საპროექტო განაცხადები, რომლებიც ორიენტირებული იქნება პირად სარგებლობასთან ერთად თემის განვითარება-საჭიროებებზე.

,,ბრიტიშ პეტროლეუმი“ აპირებს ამ აქციით ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას თემის მოსახლეობასთან.

მსოფლიოს ერთ-ერთი გიგანტური ნავთობკომპანია მცირე ბიზნესის გავითარებისათვის სამიზნე რაიონებია: გარდაბანი, მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, საჩხერე, ჭიათურა, ზესტაფონი, თერჯოლა, ბაღდათი, ვანი, სამტრედია, აბაშა და ლანჩხუთი.

მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ნავთობკომპანია თემებში ერთიდან ოთხ პროექტამდე დააფინანსებს. პროექტის მართვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს ,,საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია“, რომელიც მოახდენს ყველა იმ მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობის ინფორმირებას, რომლებიც ნავთობსადენის გასწვრივ ცხოვრობს.

,,საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია“ უზრუნველყოფს მოსახლეობის ბიზნესის განაცხადის შედგენის, ბიზნესის მართვისა და საგადასახადო კანონმდებლობის ტრენინგების ჩატარებას. ეს ორგანიზაცია ასევე მოახდენს წამოწყებული ბიზნესის მონიტორგსა და გამარჯვებულ პირებს გაუწევს კონსულტაციებს ბიზნესის მართვაში.

დროდადრო მოხდება გამოცდილების გაზიარების მიზნით წარმატებული ბიზნესმენების მონაწილეობით.

ბიპი ასევე აპირებს დევნილთა დასახლებებში (წეროვანში, ხურვალეთში, შავშვებსა და სვენეთში) ახალგაზრდების უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვას, რისთვისაც დააფინანსებს 8 მცირე პროექტი. ასეთი პროექტის დაფინასება მოხდება 300 აშშ დოლარით (საშემოსავლო დაქვითის შედეგად 240 დოლარი). ამავდროულად ოთხივე დასახლებიდან მოხდება 20 ახალგაზრდის საზაფხულო ბანაკში დასვენება.

7 მობილიზატორი 21 იანვრიდან 4 თებერვლამდე სამოქმედო არეალში დაარიგებს სააპლიკაციო ფორმებს, რომლებსაც მოსახლეობა შეავსებს და მობილიზატორებს ან რეგისტრატორებს შევსების შემდეგ გადასცემს, შემდეგ სპეციალური კომისია იმსჯელებს და თემიდან შეარჩევს მინიმუმ 5, მაქსიმუმ 8 პროექტს. პირველ ეტაპზე შერჩეულ პროექტის წარმომდგენებს კიდევ ჩაუტარდებათ შერჩევა და განსაზღვრული თანხა დაერიცხებათ გამარჯვებულებს.

,,ბრიტიშ პეტროლეუმი“ არა მარტო სოფლის მოსახლეობის წამახალისებელ საგრანტო პროექტებს აფინანსებს, არამედ მას აქვს საქველმოქმედო აქციები განხორციელებული გზებისა და სკოლის შენობების სარეაბილიტაციოდ, 44 სკოლაში მის მიერ მოწყობილია ეკოლოგიური და კომპიუტერული კაბინეტები.

,,ახალი თაობა“ შეეკითხა ერთ-ერთ მობილიზატორს, დავით წიქარიშვილს, აღნიშნულთან დაკავშირებით:

,,საგრანტო პროექტში ჩართვა შეუძლია ყველა იმ თემის მოსახლეს, რომელიც ჩაწერილია მიზნობრივ თემში, ამავდროულად აუცილებელი წინაპირობაა, რომ პროექტი უნდა განხორციელდეს აუცილებლად ჩაწერის ადგილზე. შეზღუდვა არ არის სქესის, ასაკისა და თანამდებობის მიხედვით. თანაბარი ქულების მქონე პროექტების შემთხვევაში პრივილეგია მიენიჭება ქალბატონებსა და 40 წლამდე ასაკის მოსახლეობას. სააპლიკაციო ფორმებს თან მოჰყვება სპეციალური ცხრილები, რომლის მიხედვით აპლიკანტი თავადაც შეძლებს იმ ქულების დაანგარიშებას, რომელიც მას მიენიჭება კომისიის მიერ. ყველა აპლიკანტს წერილობით მიუვათ პასუხები, გამარჯვებულებისათვის შეხვედრა მოხდება მათთვის ხელსაყრელ პირობებსა და დროს“.

როგორ გადავაყენოთ პრეზიდენტი

დასაწყისი მე-5 გვერდზე

„კონსტიტუციური შეთანხმების“ სახე [იხ. მუხლი 66].

კონსტიტუციის 66-ე მუხლის თანახმად, ამდაგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, შემდეგი მოთხოვნის დაცვაა საჭირო:

„1. პარლამენტში კანონპროექტი ან დადგენილება მიღებულად ითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონპროექტის ან დადგენილების მიღების სხვა წესი.

11 კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა სამი მეხუთედი (რაც – ზოგადად – 90, ხოლო დღეის მდგომარეობის გათვალისწინებით – 89 სადეპუტატო ხმის ტოლია).

2. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი... (რაც – მინიმუმ 76 სადეპუტატო ხმის ტოლია)“.

ჩვენის აზრით, სასურველია თუკი აღნიშნული დადგენილება – „კონსტიტუციური შეთანხმების“ სახით, ანუ – 90 (89) სადეპუტატო ხმით იქნება მიღებული, რამეთუ კონსტიტუციის მუხლი 68,4-ის თანახმად პრეზიდენტის მიერ დაწუნებული კანონპროექტის [ე.წ. ვეტოს დადების შემთხვევა]საბოლოო მისაღებად, სწორედ – 90 (89) სადეპუტატო ხმაა საჭირო.

დადგენილების საბოლოო მიღებიდან, კონსტიტუციით განსაზღვრული 7 დღის თავზე – „თუ პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე“ (მუხლი 68,5), საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერის შემდეგ, გადაწყვეტილება ძალაში შესულად ჩაითვლება.

ყოველივე ზემოთქმულის განხორციელების შემთხვევაში, შექმნილი ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლა, საქართველოს კონსტიტუციის ყველა მოთხოვნის [კერძოდ: მუხლი 5,3; მუხლი 70,1 და 9; მუხლი 71; მუხლი 76,1] დაცვით იქნება შესაძლებელი:

– 2013 წ. 20 იანვრიდან მ. სააკაშვილი დაამთავრებს საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის 5 წლიან ვადას, ხოლო

– 2013 წლის ოქტომბრის პირველი კვირა დღისათვის დანიშნულ მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას, დროებით [მუხლი 76.1] – საქართველოს პარლამენტი თავმჯდომარე შეასრულებს.

ვნახოთ რამდენად გაითვალისწინებს პარლამენტი „ერთსულოვნების“ პროექტს. სავარაოდოდ. ისინი უარს იტყვიან პრეზიდენტის იმპიჩმენტზე. ახლა ხომ კოაბიტაციაა მოდაში.

ელისო კილაძე: „ბედუკაძის დაბრუნება ბევრ რამეს ნათელს მოჰფენს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ვილის და ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით, იმედია, ბედუკაძის საქართველოში ჩამოსვლა და მისი თანამშრომლობა გამოძიებასთან მოიტანს იმას, რომ ამ ადამიანების უდანაშაულობაც დადასტურდება.

– რაც ჩვენ ვიხილეთ ტელევიზიით, რომელია ფალსიფიკაცია?

–– პირველი კადრები, როცა საკანში სცემენ პატიმარს, ეს არის ფალსიფიკაცია, დანარჩენი კარანტინის დაშლის სცენა, არასრულწლოვანი პატიმრის ცემა, ცოცხების სცენა, ეს არის ბედუკაძის კადრები. სწორადაც აღელვებთ ნაცებს ცოცხების სცენა იმიტომ, რომ ეს არის სრული რეალობა. ცოცხების პარტიის ეპითეტს ნაცმოძრაობა ვერასოდეს მოიშორებს, ვიდრე ის იქნება პოლიტიკურ ასარეზზე, თუმცა მე იმედი მაქვს, რომ მალე პოლიტიკაში აღარ იქნებიან. ბედუკაძის დაბრუნება ბევრ რამეს ნათელს მოჰფენს. სერგო თეთრაძის წამების კადრებს უშუალოდ ოლეგ ფაცაცია იღებდა სხვას არავის ანდო მისი გადაღება და სავარაუდოდ ეს ფირები ინახება ახალაიას ან სააკაშვილის სეიფებში. თეთრაძის წამება მოხდა ლადო ბედუკაძის მორიგეობის დროს, ამიტომაც არის მნიშვნელოვანი მისი ჩვენება. ბედუკაძე მზად არის, თუ სასამართლო მას აღმკვეთ ღონისძიებას პატიმრობას არ შეუცვლის, ციხეში დაჯდეს და იქიდან ითანამშრომლოს გამოძიებასთან.

„ქართული აკადემია“ სააკაშვილს თანამდებობის დატოვებას ურჩევს

„ქართული აკადემია“ პრეზიდენტ სააკაშვილს ურჩევს, „საპრეზიდენტო არჩევნებში უკანონოდ მიტაცებული თანამდებობა 20 იანვარს დატოვოს“. ამის შესახებ „ქართული აკადემიის“ განცხადებაშია აღნიშნული.

„მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელი განცხადებები თუ ქმედებები აშკარად დესტრუქციული, პროვოკაციული ხასიათისაა და მიმართულია საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ.

სამწუხაროა, რომ სააკაშვილმა და ამჟამად ოპოზიციაში მყოფმა „ნაცმოძრაობამ“ ვერ დააფასა შემწყნარებლობა ქართველი ხალხისა, რომელმაც რადიკალური მეთოდებით არ მოსთხოვა პასუხი იმ უბედურებებისათვის, ქვეყანასა და ხალხს თავს რომ დაატეხა ამ ნეობოლშევიკურმა, თავისი ბუნებით კაცთმოძულე რეჟიმმა.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ სკამსა და ძალაუფლების ნარჩენებს ჩაბღაუჭებულ სააკაშვილს მიმდინარე წლის 20 იანვარს უმთავრდება ხუთწლიანი საპრეზიდენტო ვადა. ჩვენ გვესმის ის იურიდიული სირთულე, რომელიც შექმნა წინანდელი, ფაქტობრივად, ერთპარტიული პარლამენტის მანკიერმა საკონსტიტუციო ცვლილებამ, კერძოდ, საპრეზიდენტო არჩევნების თარიღად ოქტომბრის გამოცხადებამ.

თავი რომ დავანებოთ იურიდიულ შეუსაბამობას, მიხეილ სააკაშვილს კარგა ხანია, ამოწურული აქვს საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის პოლიტიკური და მორალური რესურსები, რაც საბოლოოდ დაადასტურა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებმა და იმ გამანადგურებულმა მარცხმა, რომელიც ამ არჩევნებში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და პირადად სააკაშვილმა იწვნიეს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს, 20 იანვარს მიხეილ სააკაშვილმა დატოვოს ჯერ კიდევ 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში უკანონოდ მიტაცებული თანამდებობა.

პირადად სააკაშვილს ვურჩევთ, ნუ გამოცდის ქართველი ხალხის მოთმინებას და ნუ დაიმძიმებს სამართლებრივი, პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით თავის ისედაც კატასტროფულად დამძიმებულ მდგომარეობას“, – ნათქვამია „ქართული აკადემიის“ განცხადებაში.

პირველი

ჟურნალისტსა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელს შორის ინციდენტი მოხდა

გუშინ დილით გურჯაანში, კახეთის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელ გელა მთივლიშვილსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე კონსტანტინე ხმალაძეს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა.

ინფორმაციას ამის შესახებ სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

ჟურნალისტის ინფორმაციით, სამინისტროს წარმომადგენელმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ვითარების გარკვევისა და რეაგირების მიზნით, საქმეში სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი ჩაერთო, რომელიც აღნიშნულ ინციდენტს შეისწავლის და შესაბამის დასკვნას დადებს.

სამინისტროში აცხადებენ, რომ გელა მთივლიშვილმა, შიდა აუდიტის დეპარტამენტთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მოუწოდებს კახეთის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელს, ითანამშრომლოს სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტთან, რათა დროულად და ობიექტურად მოხდეს საქმის შესწავლა.

„აქვე, ვაცხადებთ, რომ სამინისტრო ღია და გახსნილია ყველა მედია საშუალებისა და ჟურნალისტისთვის და ნებისმიერ საკითხზე მზად არის მათთან სათანამშრომლოდ“ – ნათქვამია პრესსამსახურის განცხადებაში.

ნიუსპრესი

სააკაშვილი ეკონომიკური ამნისტიის ინიციატივით გამოდის

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციის და ეკონომიკური ამნისტიის ინიციატივით გამოდის.

ამის შესახებ პრეზიდენტმა ავლაბრის რეზიდენციაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ მე ყოველდღიურად ვიღებ ინფორმაციებს ეროვნული ბანკიდან და სხვადასხვა ეკონომიკური უწყებებიდან, დღგ-ს ბრუნვისა და ინვესტიციების რაოდენობის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკაში არის კატასტროფული მდგომარეობა და ეს შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს.

ამ ყველაფერს განაპირობებს ისიც, რომ საქართველოს მთავრობა ეუბნება ინვესტორებს, რომ მომავალი სამი წლის განმავლობაში, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა არ იქნება. ეს ხდება მაშინ, როცა გასულ წელს პროექტირებული იყო ეკონომიკის 8 პროცენტიანი ზრდა, რომელიც არჩევნების შემდეგ 6,5 პროცენტამდე დავიდა. როგორც ჩანს წლევანდელი წელიც საკმაოდ ცუდი მონაცემებით დაიწყო. ამ ვითარებაში კი, იმ მიზნით, რომ ინვესტორები დაბრუნდნენ, ჩვენ განსაკუთრებული ზომების მიღება გვჭირდება“ – განაცხადა პრეზიდენტმა.

სააკაშვილის თქმით, მან საქართველოს მთავრობას რამდენიმე ინიციატივა შესთავაზა.

„ ჩვენ მთავრობას შევთავაზეთ რამდენიმე ინიციატივა, მათ შორის მზადყოფნას გამოვთქვამდით, რომ ერთად მივსულიყავით ინვესტორებთან, ჩაგვეტარებინა ერთობლივი კონფერენციები და ასე შემდეგ. მეორეს მხრივ კი, აუცილებელია რამე განსაკუთერებული გავაკეთოთ ქვეყნის შიგნით“ – აღნიშნა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილი ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებელ ღონისძიებებად, ამნისტიას და ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციას ასახელებს.

„ამ მხრივ ჩვენ რაიმე ახლის მოძებნა არ გვჭირდება, გვახსოვს, რომ 2004 წელს, ვარდების რევოლუციის შემდეგ, ჩემმა მთავრობამ სრული ეკონომიკური ამნისტია გამოაცხადა.

მე ვთავაზობ საქართველოს მთავრობას, რომ ახლაც, საგანგებო ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, გამოაცხადოს სრული ეკონომიკური ამნისტია 2013 წლამდე არსებულ ყველა საგადასახადო დავალიანებაზე. ამის პარალელურად კი მოახდინოს ეკონომიკური დანაშაულების დეკრიმინალიზაცია, რომ ეკონომიკური სახის დანაშაულზე, საპატიმრო სანქციები არ იყოს გამოყენებული“ – განაცხადა სააკაშვილმა.

ნიუსპრესი

უნივერსიტეტში თეონა ქუმსიაშვილის ხსოვნის საღამო გაიმართება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში, 27 იანვარს, ხევსურეთში ტრაგიკულად დაღუპული მომღერლის თეონა ქუმსიაშვილის ხსოვნის საღამო გაიმართება.

საღამოზე ფოლკლორული ანსამბლები და მომღერლები თეონას სიმღერებს შეასრულებენ. პოეტები წაიკითხავენ მის და მისადმი მიძღვნილ ლექსებს, მეგობრები კი თეონას გაიხსენებენ.

თეონა 27 იანვარს 29 წლის გახდებოდა.

თეონა ბავშვობიდან აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა ფოლკლორულ კონცერტებსა და ფესტივალებზე. იყო ანსამბლ „სიონის ზარების“ სოლისტი. თავად წერდა ტექსტებს საკუთარი მელოდიებისთვის. გამოცემული ჰქონდა სიმღერების სოლო ალბომი „ვეღარც სიმღერით გითხარ ამდენი სიყვარული“. 2012 წელს გამოიცა მისი ლექსების კრებული – „მთის ბუმბული.“

შეგახსენებთ, რომ 2010 წლის 22 ივლისს, ხევსურეთში, მუცოს ხეობაში, დღეობის შემდეგ, მანქანა ადიდებულ მდინარეში გადავარდა. მანქანაში 10 ადამიანი იჯდა. ავტოკატასტროფის შედეგად 7 ადამიანი დაიღუპა.

მათგან ორის – დემეტრე დაიაურისა და მამუკა არაბულის ცხედრების პოვნა ვერ მოხერდა.

ნიუსპრესი

2014 წელს შესაძლოა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდეს

მერი ნამორაძე



„საქსტატი“ სურვილს გამოთქვამს, საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014 წლის ბოლოს ჩატარდეს. ამის შესახებ „საქსტატის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ზაზა ჭელიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, სტატისტიკის ეროვნული სამსახური მოსახლეობის აღწერის მომზადების მუდმივ პროცესშია.

– ახლა რასაც ვაკეთებთ, ისაა, რომ ვადგენთ ელექტრონულ კარტოგრაფიულ რუკებს, რომლის მიხედვითაც აღწერა ჩატარდება. ჩვენი სურვილია, მოსახლეობის აღწერა 2015 წლამდე ჩატარდეს, თუმცა ეს მთავრობის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. უნდა შეიქმნას სპეციალური სამთავრობო კომისია, რომელიც ამ საკითხებზე იმუშავებს, – განაცხადა ჭელიძემ.

მისი თქმით, საქართველო იქნება პირველი პოსტსაბჭოთა ქვეყანა ბალტიისპირეთის ქვეყნების შემდეგ, რომელიც მოსახლეობის აღწერას ელექტრონულ-კარტოგრაფიული მეთოდით ჩაატარებს. ამასთან, აღწერის პროცესი მთავრობის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაიწყება.

ჭელიძის განმარტებით, აღწერა ორ ეტაპად განხორციელდება. პირველი იქნება შემოვლითი, რაც საცხოვრებელი სახლებისა და ოჯახების აღწერას ითვალისწინებს, მეორე ეტაპზე კი უკვე მცხოვრებლების დათვლა, ანუ ეგრეთ წოდებული ავტორიზაცია მოხდება. აღწერა არამარტო ზოგადი რაოდენობრივი მაჩვენებლის მიღებას ისახავს მიზნად, არამედ სასოფლო-სამეურნეო ვითარებასა და მიგრაციულ პროცესებსაც შეაფასებს.

„ავიღებთ ინფორმაციას მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო აქტივობაზე. გარდა ამისა, აღწერას შეიძლება დაემატოს მიგრაციის, დასაქმებისა თუ ჯანდაცვის მდგომარეობის კვლევაც. დავითვლით არამარტო მოსახლეობის რაოდენობას, არამედ მიგრაციასაც და იმასაც, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ჯანდაცვა“, – განაცხადა ზაზა ჭელიძემ.

მისი თქმით, კვლევის მასშტაბები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს სამთავრობო კომისია, რადგან, რაც უფრო ბევრ საკვლევ საკითხს მოიცავს აღწერა, მით უფრო დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებული პროცესი. ზაზა ჭელიძემ გასულ წელს მონაცემთა გავრცელების ელექტრონული სტანდარტების შექმნაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ „საქსტატი“ მთლიანად გადავიდა ელექტრონული სახის კვლევების წარმოებაზე.

საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ბოლოს 2002 წელს ჩატარდა. 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქვეყანაში 4.497.6 ათასი კაცი ცხოვრობს. მხოლოდ თბილისში კი – 1.172.7 ათასი.

რა სიხშირით უნდა ტარდებოდეს ქვეყანაში მოსახლეობის აღწერა? როგორც დემოგრაფმა გიორგი წულაძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, აღწერა ყოველ 5-10 წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ჩატარდეს. როგორც წესი, დამრგვალებულ წელს ატარებენ ხოლმე და ქვეყნების უმრავლესობა ცდილობს, იანვარში ჩაატაროს აღწერა. რატომ მაინცდამაინც იანვარში? ამ კითხვაზე სპეციალისტთა პასუხი ასეთია – იანვარში მოსახლეობის მობილურობა ნაკლებია. ზოგჯერ არის შემთხვევები აღწერის ზაფხულში ჩატარებისა, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნებში ყოველთვის არის მცდელობა, აღწერა იანვარში ჩატარდეს. საქართველოში ჩატარებული აღწერების უმრავლესობაც სწორედ იანვარშია ჩატარებული.

შეკითხვას, თუ რამდენი დღე უნდა გასტანოს აღწერის ჩატარებამ, წულაძემ უპასუხა, რომ, საქართველოში არსებული გამოცდილებით, 10 დღე მაინც სჭირდება აღწერის ჩატარებას, თუმცა, სასურველია, რაც შეიძლება მოკლე ვადებში დამთავრდეს ეს პროცესი: – დავუშვათ, თქვენთან მოვიდნენ ასაღწერად 15 რიცხვში, ჩემთან – 16-ში, ვიღაცასთან – 17-ში, თუ თქვენ შვილი 16-ში შეგეძინათ და აღწერაზე 15-ში იყვნენ მოსული, დაბადებული ბავშვი ვერ მოხვდება აღწერაში. საქართველო პატარა ქვეყანაა და დღეში 150 ბავშვი მაინც იბადება. ეს ციფრი რომ აღწერის 7-10 დღეზე გადავანაწილოთ, უკვე ბევრი გამოდის, – აღნიშნა წულაძემ.

მაინც რამდენად არის შესაძლებელი აღწერის ვადის შემცირება? წულაძის თქმით, მეზობელ თურქეთს, მაგალითად, მოსახლეობის აღწერის ერთ დღეში დასრულების გამოცდილება გააჩნია:

– აღწერა 2 კვირა არ იჭიმება, ეს უცხო ხილი არ არის, მაგრამ საამისოდ გაცილებით ინტენსიური მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარებაა საჭირო და მეტი აღმწერი გჭირდება. მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს აღწერა. ჩვენთან რამდენჯერმე ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაო, დაიხარჯა ფული, მაგრამ ამას აღწერა არ მოჰყოლია. მეჩვენება, რომ წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოებისთვის 2014 წელი მოკლე პერიოდია. საქმე ხარისხიანად უნდა გაკეთდეს, – გვითხრა წულაძემ.

მოსახლეობის ბოლო აღწერის შედეგებმა, რომელიც 2002 წელს გამოცხადდა, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ქართველობა მინიმუმ ნახევარი მილიონით გაბერილი ციფრების გამოქვეყნებაში ედავებოდა სტატისტიკოსებს. მაშინ ციფრების მიმართ უნდობლობის გაჩენას ობიექტური მიზეზები ჰქონდა. წულაძის თქმით, მოსახლეობას ამაში თავადაც მიუძღოდა ბრალი. მაშინ ქვეყანაში მიგრაციას დიდი მასშტაბი ჰქონდა. მოსახლეობა კი აღწერისას გააღიზიანა მიგრაციის ბარათმა, სადაც ეკითხებოდნენ, ჰყავდათ თუ არა ვინმე წასული საზღვარგარეთ და გზავნიდა თუ არა ოჯახის წასული წევრი ფულს. ამ ინფორმაციას მოსახლეობა მალავდა. ასე რომ, მიღებული ინფორმაციის სანდოობა ეჭვქვეშ დადგა.

წულაძემ აღნიშნა, რომ 2002 წელსაც გადაცილებული იყო საყოველთაო აღწერის ვადა და მით უმეტეს ამჟამად ვადა ძალზე გადაცილებულია. მისი თქმით, აღწერის მონაცემები ყველაზე სანდო წყაროდ ითვლება მოსახლეობის სტრუქტურის შესახებ და ეს მონაცემები უპირველესად ქვეყანასა და ხელისუფლებას სჭირდება.

გურამ საღარაძე გარდაიცვალა



გუშინ ქართველი მსახიობი გურამ საღარაძე გარდაიცვალა. ცნობისთვის, გურამ საღარაძე 1929 წლის 12 იანვარს დაიბადა.

1951 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი და ჩაირიცხა რუსთაველის თეატრის დასში.

მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია, სოსო (ო. იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“), თესევსი, მასახარა და იულიუს კეისარი (შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „მეფე ლირი“ და „იულიუს კეისარი“) , ჰეილი (მილერის „სეილემის პროცესი“), ტიპოტესკუ (კარაჯალეს „დაკარგული ბარათი“), დურსუნი და ჭეიშვილი (ნ. დუმბაძის „მზიანი ღამე“ და საბრალდებო დასკვნა), მინდია (გამსახურდიას „ხოგაის მინდია“), შე ფუ, თავადი ყაზბეგი, ეფრეიტორი, ბერი (ბრეხტის „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“ და „კავკასიური ცარცის წრე“), ტომი (ტ. უილიამზის „შუშის სამხეცე“), გიორგი ჯაფარიძე (რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“), უჩა (თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“) და სხვა.

საღარაძე ემოციური, ფართო დიაპაზონის მსახიობი და მხატვრული კითხვის ოსტატი იყო.

2006 წლის 13 ნოემბერს რუსთაველის თეატრის წინ გურამ საღარაძის ვარსკვლავი გაიხსნა.

პირველი

მელორ ვაჩნაძე: „სააკაშვილმა სჯობს, არაკომპეტენტური განცხადებებისგან თავი შეიკავოს“

პოლიტპატიმარ მელორ ვაჩნაძის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილმა სჯობს, არაკომპეტენტური განცხადებებისგან თავი შეიკავოს. ამის შესახებ ვაჩნაძემ გუშინ „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ამ ეტაპზე ფსიქოტროპული აფთიაქების თემაზე ვმუშაობ, რომელიც ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილთან არის დაკავშირებული. როდესაც სააკაშვილი გამოდის და აცხადებს რომ ნარკომანია დაამარცხა, ეს არის ძალიან დიდი სისულელე, რადგან ქვეყანაში დაახლოებით 30000 მეტი ფსიქოტროპული აფთიაქია, სადაც ურეცეპტოდ შეიძლება ისეთი წამლების ყიდვა, რომლებიც დიდი რაოდენობით ნარკოტიკს შეიცავენ. 20-თეთრიან წამლებს 20 ლარად ყიდიან და ამ ნარკოვაჭრობით ძალიან დიდ სარგებელს იღებენ, ამიტომ მიხეილ სააკაშვილმა სჯობს, არაკომპეტენტური განცხადებებისგან თავი შეიკავოს და ძირეულად შეისწავლოს ეს პრობლემა, რადგან ნარკომანები ავადმყოფები არიან და მათ მკურნალობა სჭირდებათ და არ ოცწლიანი პატიმრობა“, – განაცხადა ვაჩნაძემ.

მისივე თქმით, ის პრეზიდენტის შეწყალების თემაზეც მუშაობს, როცა მან 2000 ადამიანი არჩევნებამდე ციხიდან გამოუშვა.

„სააკაშვილმა არჩევნების წინ 2000 პატიმარი შეიწყალა და არავინ იცის მათი გვარები, ვინ არიან, ან რა დანაშაულზე იხდიდნენ სასჯელს. პირადად მე ვიცი პატიმარი, რომელიც სააკაშვილმა შეიწყალა და ის არის გამოუსწორებელი კრიმინალი. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ არჩევნებში მათთვის მხარი დაეჭირათ და ამ საქმეს უშუალოდ ეკა ხერხეულიძე და ანდრო ალავიძე ხელმძღვანელობდნენ“, – აღნიშნა ვაჩნაძემ.

პირველი

საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა ქუთაისში ხმაურით დასრულდა

გუშინ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა ქუთაისში ხმაურით დასრულდა. აღსანიშნავია, რომ სხდომაზე გამომსვლელთა უმრავლესობა პირველ საკანონმდებლო ცვლილებას ეწინააღმდეგებოდა, რომელიც პარლამენტის ქუთაისიდან გადმოტანას ეხება.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისელები საპარლამენტო უმცირესობის წევრის აკაკი ბობოხიძის გამოსვლას ოვაციებით შეხვდნენ. ბობოხიძის თქმით, ქუთაისში არამხოლოდ უნდა დარჩეს პარლამენტი, არამედ მთავრობაც იქ უნდა გადავიდეს.

განხილვისას მცირე ხმაური მოჰყვა ქუთაისის მერის გიორგი თევდორაძის სიტყვით გამოსვლას, თუმცა სიტუაცია საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა მალევე დაარეგულირეს.

შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება ორ საკონსტიტუციო ცვლილებას. პირველი მათგანი კონსტიტუციიდან იმ მუხლის ამოღებას გულისხმობს, რომელშიც პარლამენტის ერთადერთ ადგილსამყოფელად ქუთაისია მითითებული. მეორე ცვლილება კი პრეზიდენტის უფლებამოსილების შეცვლას ეხება.

პირველი

რუსთაველის თეატრი ქუთაისში ჩავიდა

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრი გასტროლებით ქუთაისში იმყოფებოდა, სადაც ქუთაისში დაგეგმილ თეატრალურ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და მისი საზეიმო დახურვის პატივი ხვდა წილად.

თეატრალური ფესტივალი ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში ჩატარდა, სადაც რუსთაველის თეატრმა ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ გაითამაშა. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუაა, რეჟისორი – ანდრო ენუქიძე, ერთაქტიანი ტრაგიკომედიის სასცენო ვერსია თამაზ გოდერძიშვილსა და რობერტ სტურუას ეკუთვნით, მხატვრობა – მირიან შველიძეს, მუსიკალური გაფორმება – ია საკანდელიძეს, კომპოზიტორი გია ყანჩელია, ლოტბარი – ანზორ ერქომაიშვილი, ქორეოგრაფი – გოგი ალექსიძე, რეჟისორის თანაშემწე – გრიგოლ თათეიშვილი. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები დათო დარჩია, თათული დოლიძე, მარინა კახიანი, ჟანრი ლოლაშვილი, ტრისტან სარალიძე, დავით უფლისაშვილი, დარეჯან ხარშილაძე და ნანუკა ხუსკივაძე.

– ჩემო მკითხველო, ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა, არა, მარტო ის უნდა, რომ დაგანახვოს შენი ცუდი, შენი ავი. ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე, თუ გინდა, მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნებ გენიშნოს რამე. ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი, – ამბობს ილია ჭავჭავაძე.

რუსთაველის თეატრმა გასტროლები ქუთაისში ჯერ კიდევ გასულ წელს დაგეგმა. ნოემბერში თეატრის დასს ლადო მესხიშვილის სახელმწიფო დრამატულ თეატრში შეკრებილი ქუთაისელი მაყურებლის წინაშე რობერტ სტურუას მიერ განხორციელებული გახმაურებული სპექტაკლი „ნადირობის სეზონი“ უნდა წარმოედგინა, რომელიც ტრაგიკომიკური ფანტასმაგორიაა ერთ მოქმედებად. სპექტაკლში გამოყენებულია ფრაგმენტები ბახის, ჩერჩილის, სტოტჰარტისა და რუბის მუსიკალური ნაწარმოებებიდან, თუმცა წარმოდგენის კომპოზიტორი გია ყანჩელია, მხატვარი – თემურ ნინუა, ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე, რეჟისორის თანაშემწე – ციცინო გვაზავა. „ნადირობის სეზონში“ მონაწილეობენ გოგა ბარბაქაძე, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, ზუკა პაპუაშვილი, ია სუხიტაშვილი, ზაზა ბარათაშვილი, გელა თავბერიძე, კახა კუპატაძე, გაგი სვანიძე და ბექა სონღულაშვილი. სპექტაკლი რობერტ სტურუამ თამაზ ჭილაძის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით დადგა. „შენ გგონია, მე ვხედავ რამეს, ანდა ვინმე მხედავს? იქნებ მეც მოჩვენება ვარ, აჩრდილი, უცნობი ტაკიმასხარას აჩრდილი“ – ასეთი ამონარიდი აქვს წამძღვარებული წარმოდგენას თამაზ ჭილაძის ნაწარმოებიდან. რობერტ სტურუას მიერ დადგმული „ნადირობის სეზონი“ ერთ-ერთი უკანასკნელი აღმოჩნდა მაესტროსთვის, რადგან ის სწორედ ამ პერიოდში დაითხოვეს თეატრიდან და სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან მაშინდელი კულტურის მინისტრის ნიკოლოზ რურუას ბრძანებით იქნა გათავისუფლებული. რობერტ სტურუას ბოლო ნამუშევარი რუსთაველის თეატრში საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, თეატრის მოღვაწეთა კავშირმა სპექტაკლი წლის საუკეთესო დადგმად აღიარა, მასში შესრულებული მთავარი როლისთვის კი ია სუხიტაშვილი დაჯილდოვა. ცალკე პრიზები და გამარჯვებები მოიპოვა „ნადირობის სეზონმა“ თეატრალურ პრემიაზე „დურუჯი“, სადაც რობერტ სტურუას ნამუშევარმა გაიმარჯვა ნომინაციებში წლის საუკეთესო რეჟისორი, საუკეთესო ქართული თანამედროვე პიესის ავტორი და საუკეთესო მხატვრობა.

„ნადირობის სეზონის“ შესახებ თეატრმცოდნე ნათელა არველაძე წერს:

– მსუბუქი და მახვილგონივრულია რეჟისორის თხრობა, დამაფიქრებელია „სტურუას თეატრის“ აღსარება, მისი ფარული საფარველით გამჟღავნებული მორალიტე. სტურუა თავისი თეატრის პრინციპების ერთგულია ახლაც, გულისნადებს პედალიზებული ფრაგმენტულობით გვიმხელს, ამ „სასცენო შაირის“ ქვეტექსტის ქვეტექსტი ჭეშმარიტებასავით მარტივია – „თუ კაცნი გვქვიან“. ამ იგავის სიმარტივე ისიცაა, რეალობის რადიუსს მიღმა რომ გვახედებს, უფრო დიდი და შეუცნობელი რეალობის ჰორიზონტს რომ გვიახლოებს.

გასულ წელს დაგეგმილი გასტროლები ქუთაისში გაუქმდა, რადგან სპექტაკლი ტექნიკური მიზეზების გამო ვერ იქნა წარმოდგენილი მესხიშვილის თეატრში. როგორც მაშინ რუსთაველის თეატრის პრესსამსახურში განმარტეს, „ნადირობის სეზონი“ ქუთაისის თეატრის სცენაზე ვერ დაეტია, ამიტომ ამჯერად შედარებით მცირე დეკორაციის წარმოდგენა იქნა შერჩეული.

ქუთაისში დაგეგმილი თეატრალური კვირეული მარჯანიშვილის თეატრმა გახსნა. ერთი კვირის განმავლობაში ქუთაისში რუსთაველის, ახმეტელის, თუმანიშვილის, სოხუმის, მუსიკისა და დრამის თეატრების სპექტაკლები გაიმართა. კვირეული ქუთაისში წელს პირველად ჩატარდა და ის ქუთაისის კულტურის სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

„მაშა და დათვი“ თბილისშია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მთავარ მოქმედ გმირებს, როგორც ყველა ბავშვს, მაშასაც ეს სურვილი უსრულდება და მას სტუმრად ქართველი პერსონაჟები ეწვევიან. ქართული ზღაპრის პერსონაჟების გაჩენა რუსულ სერიალში ქართული მხარის დაჟინებული მოთხოვნა იყო „მაშა და დათვის“ შემქმნელებისადმი, რასაც სიხარულით დათანხმდნენ ლიცენზიის ავტორები, – განმარტავს რეჟისორი.

სპექტაკლში ქართველ მსახიობებთან ერთად მონაწილეობენ მაშა და დათვის დიდი თოჯინები, რომელიც საგანგებოდ ქართული სპექტაკლისთვის რუსეთში დამზადდა. საპრემიერო წარმოდგენების გამართვა მომდევნო შაბათ-კვირას 26-27 იანვარსაც გაგრძელდება და დასრულდება ზამთრის სერიის ჩვენება, რომელსაც მარტში გაზაფხულის ციკლის ახალი სპექტაკლი ჩაანაცვლებს.

„მაშა და დათვის“ პრემიერამდე „მულტი-პულტის სამყარომ“ ანიმაციური ფილმის გმირი შრეკიც თბილისში ჩამოიყვანა. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გათამაშდა საახალწლო სპექტაკლები, სადაც შრეკი, მისი მეუღლე ფიონა და შვილები, ბოროტი უფლისწული, ადამიანი ობობა, სუპერგოონა, ბეტმენი და მადაგასკარის პერსონაჟები გაერთიანდნენ. საახალწლო წარმოდგენას მისმა შემქმნელებმა „ცეცხლო ალი აანთე, შრეკი ცაში გააქრე“ უწოდეს. ზღაპარში შრეკი და ფიონა თავის შვილებთან ერთად ემზადებოდნენ ახალი წლის შესახვედრად, ბოროტმა პრინცმა გადაწყვიტა მათთვის საახალწლო საღამო ჩაეშალა, შრეკი მოაჯადოვა, მეხსიერება წაართვა და XXI საუკუნეში გამოამგზავრა, ფიონამ გადაწყვიტა, მოეძებნა შრეკი და დაიწყო დრამატული თავგადასავალი. ის ჩვენი დროის ნიუ იორკში მოხვდა, სადაც გაიცნო სპაიდერმენი, ბეტმენი და სუპერმენის მეგობარი გოგო. ისინი ფიონას დაეხმარნენ შრეკის პოვნაში. მეხსიერებადაკარგულ შრეკს კი უკვე ახალი მეგობრები ჰყავდა. ახალ წლამდე დრო ძალიან ცოტა იყო დარჩენილი, 12 საათამდე ფიონას აუცილებლად უნდა ეპოვა შრეკი და თავის შვილებთან დაებრუნებინა. წარმოდგენაში ბავშვები ჩაერთვნენ და შრეკს მეხსიერების აღდგენაში და თავის შვილებთან დაბრუნებაში დაეხმარნენ.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ პატარა მაყურებელს საშუალება მიეცა, სპექტაკლის პერსონაჟებთან ერთად სამახსოვრო ფოტოები გადაეღო და სანტა კლაუსისგან საჩუქრები მიეღო. საახალწლო წარმოდგენები კინომსახიობთა თეატრში კვლავ გაგრძელდა, სადაც წარმოდგენილი იყო ირმა მალაციძის მხიარული საახალწლო ზღაპარი ერთ მოქმედებად „საახალწლო ორომტრიალი საზღაპრეთში“. მთაწმინდის პარკში კი წარმოდგენილი იყო საქართველოში პირველად, ექსკლუზიურად მოპოვებული ლიცენზიით ცნობილი მულტიპლიკაციური სერიალის „მაშა და დათვის“ თეატრალიზებული წარმოდგენები.

გოჩა ხვიჩია, რეჟისორი, „მულტი-პულტის“ სამხატვრო ხელმძღვანელი:

– „მულტი-პულტის“ თეატრი წელს გამოირჩეოდა საახალწლოდ იმით, რომ მოამზადა სამი პრემიერა. ეს იყო „ცეცხლო, ალი აანთე, შრეკი ცაში გააქრე“. იდეა გაჩნდა იქიდან, რომ „მულტი-პულტს“ აქვს რესურსი, ბავშვები გაანებივროს არაერთი მულტიპლიკაციური გმირებით და თოჯინებით, ამიტომ არ ავიღეთ ერთი კონკრეტული ზღაპარი ან პერსონაჟი, ჩვენ გვინდოდა ბავშვებისთვის ბევრი საყვარელი გმირი ყოფილიყო ამ სპექტაკლში. ჩვენ გავაკეთეთ უნივერსალური ზღაპარი და ამბავი, სადაც იქნებოდა ყველა ზღაპრის გმირი, რადგან ზოგ პატარას მოსწონს სპაიდერმენი, ზოგს – ფიონა, ზოგს – შრეკი, ამიტომ ყველა ბავშვის გემოვნება გავითვალისწინეთ, სპექტაკლში დისნეის ცნობილი ჰიტები გადმოვაქართულეთ და ჩვენმა ზღაპრის გმირებმა შეასრულეს. ჩვენ გვინდოდა, პერსონაჟებთან ერთად, ბავშვებისთვის ეს სიმღერებიც მოსაწონი ყოფილიყო. თუმანიშვილის თეატრში შედგა პრემიერა სპექტაკლისა „საახალწლო ორომტრიალი საზღაპრეთში“, მთავარი კი ჩვენთვის არის „მაშა და დათვი“. მისი პრემიერა მთაწმინდის პარკში შედგა. ჩვენ გვაქვს ექსკლუზივი, მისმა ავტორებმა მხოლოდ ჩვენ მოგვცეს საქართველოში იმის უფლება, რომ ეს სპექტაკლი დაგვედგა და გვეთამაშა. ესეც არის ისეთივე თოჯინური, როგორიც არის შრეკი, მადაგასკარის გმირები და სხვა ჩვენი პერსონაჟები. მაშასა და დათვის თოჯინების შექმნაზე მუშაობდა მთელი ქარხანა, რომ ზუსტად ისეთი თოჯინები შეკერილიყო, როგორიც არის მულტფილმში. 6 თვე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, რომ ჩვენ ამ სპექტაკლის დადგმის უფლება მოგვეპოვებინა საქართველოში. მთლიანობაში „მაშა და დათვი“ წარმოდგენილი იქნება სერიებად, ამჯერად ჩვენ ზამთრის სერიას წარმოვადგენთ. ჩვენ ძირითადად საბავშვო სპექტაკლებზე ვმუშაობთ. ჩვენს მიერ დადგმული „წიქარა“ წავიღეთ საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც რამდენიმე ნომინაციაში გაიმარჯვა, მათ შორის იყო მაყურებლის სიმპათია, – ამბობს გოჩა ხვიჩია.

ეკა ირემაშვილი

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე, 3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, წითელი ქარის, შეუხორცებელი ჭრილობების, მოტეხილობის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

თანაგუნდელების ჩხუბის გამო მატჩი ჩაიშალა

საკანდელიძე-ქორქიას მემორიალში მიმდინარე სუპერლიგის ლიდერი „ოლიმპი“ ჩაერთო, რომელმაც სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდს გამანადგურებელი მარცხი აგება – 94:58.

ორი განსხვავებული ამბიციის გუნდის შეხვედრა ნაკლებად საინტერესო გამოდგა, რომლის ბედიც პირველ მეოთხედში გაირკვა.

საწყის ათწუთეულში ოლიმპელებმა მედიკოსებს ყველა კომპონენტში აჯობეს და პერიოდი 38:15 მოუგეს. მეორე მეოთხედში სპორტის სამინისტროს გუნდმა უპირატესობა 36 ქულამდე გაზარდა და მთავარმა მწვრთნელმა, გია კაზანჯიანმა თავის გამოჩენის საშუალება გუნდის ყველა წევრს მისცა. „ოლიმპში“ ითამაშა ლიტველმა ახალწვეულმა მარტინას ანდრიუკაიტისმა, რომელმაც 24 წუთში 9 ქულა და ამდენივე მოხსნა მოაგროვა. ბალტიისპირელი ფორვარდი მიმდინარე მემორიალში ითამაშებს და დაიტოვებს თუ არა მას „ოლიმპი“, ტურნირის დასრულების შემდეგ გაირკვევა.

ოლიმპელთაგან ორმაგი დუბლით (19 ქულა, 10 მოხსნა) დაადაფიქსირა სერბმა სტეფან მილოშევიჩმა, 19 ქულით დაასრულა ასპარეზობა ლევან ფაცაციამ, ამდენივე ქულა ჩაიწერა პირად ანგარიშზე კოკა ტომარაძემაც. სამედიცინო უნივერსიტეტელთაგან ათქულიანი ზღვარი მხოლოდ გიორგი რევაზაშვილმა (13) დაძლია.

რაც შეეხება დღის მეორე შეხვედრას, ის თანაგუნდელებს შორის მომხდარი ინციდენტის გამო შეწყდა. სტუ „არმიას“ ხვდებოდა, მიმდინარეობდა მესამე პერიოდი და ანგარიშით 63:44 წინ თავდაცვის სამინისტროს გუნდი იყო. სტუ-ს მოთამაშეები ვაჟა ჯანაშია და გიგა კვეტენაძე მოედანზე შელაპარაკდნენ. მატჩი შეჩერდა და ინციდენტის მონაწილეები მოედნიდან გავიდნენ, რომლებიც მოგვიანებით გასახდელისკენ გაემართნენ. გასახდელის შესასვლელთან ჯანაშიამ და კვეტენაძემ ჩხუბი ატეხეს, რომელთა გასაშველებლად სტუ-ს მთელი გუნდი გაემართა. მთავარმა მსაჯმა, მაკა კუპატაძემ მატჩი შეწყვიტა და არსებული ანგარიში ძალაში დატოვა. შესაბამისად, „არმიას“ გამარჯვება ჩაეთვალა – 63:44.

დებულების თანახმად, ინციდენტში მონაწილეებს სანქციები ელით, თუმცა კონკრეტულ სასჯელს კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი გადაწყვეტს.

ჩვენს მეტოქეს გერმანელი გაწვრთნის

ევრობასკეტ 2013-ზე საქართველოს ჯგუფში მყოფ პოლონეთის ნაკრებს დირკ ბაუერმანი გაწვრთნის. ინფორმაცია ოფიციალურად ჯერ არ დაუდასტურებია პოლონეთის კალათბურთის ფედერაციას, თუმცა, ეს ამბავი გადაწყვეტილიაო, იუწყება ერთ-ერთი სატრანსფერო სააგენტო.

ბაუერმანი წლების მანძილზე გერმანიის ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა, რომელსაც 2005 წლის ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოაპოვებინა. ბაუერმანი 9-გზის გერმანიის ჩემპიონი (ჰამბურგთან და ლევერკუზენთან ერთად) და 4-გზის თასის მფლობელია, ხოლო ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული ოთხჯერ დაისაკუთრა.

ბოლოს ბაუერმანი მიუნხენის „ბაიერნში“ მუშაობდა და გუნდი ცოტა ხნის წინ დატოვა. შეგახსენებთ, რომ პოლონეთთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებთან ერთად ჯგუფში ესპანეთის, ხორვატიის, სლოვენიისა და ჩეხეთის ნაკრებები არიან.

გულშემატკივართა ნაკრებიც ესპანურია

ცნობილი გახდა იმ 11 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც უეფას წლის გუნდში გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად მოხვდნენ.

გასაკვირი არაა, რომ სიმბოლურ ნაკრებში ესპანეთის პრემერა დივიზიონში მოთამაშე ფეხბურთელები ჭარბობენ – ესპანური გრანდები, „ბარსელონა“ და „რეალი“ 4-4 მოთამაშით არიან წარმოდგენილნი. თითო წარმომადგენელი ჰყავთ პსჟ-ს, „ბაიერნსა“ და „იუვენტუსს“. ასევე მოსალოდნელი იყო გუნდში ესპანელი ფეხბურთელების ჭარბი რაოდენობით მოხვედრა – „ფურია როხა“ 5 მოთამაშითაა წარმოდგენილი.

უეფას ვებგვერდის მომხმარებელთა მიერ შერჩეული გუნდი ასე გამოიყურება:

მეკარე: იკერ კასილიასი (ესპანეთი, რეალი);

მცველები: სერხიო რამოსი (ესპანეთი, რეალი), ხერარდ პიკე (ესპანეთი, ბარსელონა), ტიაგო სილვა (ბრაზილია, პსჟ), ფილიპ ლამი (გერმანია, ბაიერნი);

ნახევარმცველები: ანდრეს ინიესტა (ესპანეთი, ბარსელონა), ჩავი ერნანდესი (ესპანეთი, ბარსელონა), ანდრეა პირლო (იტალია, იუვენტუსი), მესუთ იოზილი (გერმანია, რეალი);

თავდამსხმელები: ლიონელ მესი (არგენტინა, ბარსელონა), კრისტიანუ რონალდუ (პორტუგალია, რეალი).

უეფას ვებგვერდის ცნობით, 2012 წლის სიმბოლური ნაკრების შერჩევაში მონაწილეობა გულშემატკივართა რეკორდულმა რაოდენობამ მიიღო. ხმა 5.3 მილიონმა ადამიანმა მისცა, რაც წინა წლის მონაცემზე 20 პროცენტით მეტია.

შედეგები

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ჩელსი-საუთჰემპტონი	2:2

სატურნირო ცხრილი:

1.მანჩესტერი	22	18	1	3	56:29	55
2.სიტი	22	14	6	2	43:19	48
3.ჩელსი	22	12	6	4	45:21	42
4.ტოტენჰემი	22	12	4	6	39:27	40
5.ევერტონი	22	9	10	3	35:26	37
6.არსენალი	21	9	7	5	40:24	34
7.ვესტ ბრომვიჩი	22	10	3	9	31:30	33
8.ლივერპული	22	8	7	7	35:28	31
9.სუონსი	22	7	9	6	31:26	30
10.სტოკი	22	6	11	5	21:24	29
11.ვესტ ჰემი	21	7	5	9	24:27	26
12.ნორვიჩი	22	6	8	8	24:34	26
13.ფულემი	22	6	7	9	33:38	25
14.სანდერლენდი	22	6	7	9	24:29	25
15.საუთჰემპტონი	22	5	7	10	30:40	22
16.ნიუკასლი	22	5	6	11	27:39	21
17.ასტონ ვილა	22	4	7	11	17:42	19
18.უიგანი	22	5	4	13	23:40	19
19.რედინგი	22	3	7	12	26:42	16
20.ქარ	22	2	8	12	17:36	14

ინგლისი. ასოციაციის თასი

არსენალი-სუონსი	1:0
მანჩესტერი-ვესტ ჰემი	1:0

ესპანეთი. სამეფო თასი

სარაგოსა-სევილია	0:0
ბარსელონა-მალაგა	2:2

იტალია. თასი

ფიორენტინა-რომა	0:1(დდ)

საფრანგეთი. თასი

რენი-მონპელიე	2:0

პორტუგალია. თასი

ფერერირა-ჟილ ვისენტე	2:1
გიმარაეში-ბრაგა	2:2(დდ)

ბელგია. თასი

ანდერლეხტი-გენტი	1:0
გენკი-ვარეგემი	0:1
კორტრაიკი-სტ.ტრუიდენი	1:0
ოსტენდე-სერკლი	1:2

კალათბურთი

ნბა. ჩემპიონატი სეზონი

ორლანდო-ინდიანა	97:86
ტორონტო-ჩიკაგო	105:107(ოტ)
ატლანტა-ბრუკლინი	109:95

ზაზა ფაჩულია: 13 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი

ბოსტონი-ნიუ ორლეანი	78:90
დალასი-ჰიუსტონი	105:100
ოკლაჰომა-დენვერი	117:97
სან ანტონიო-მემფისი	103:82
პორტლენდი-კლივლენდი	88:93
საკრამენტო-ვაშინგტონი	95:94
გოლდენ სტეიტი-მაიამი	75:92

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა

ჯენტლმენები

რაონიჩი-როსოლი	7:6;6:2;6:3
მიურეი-სოზა	6:2;6:2;6:4
ტომიჩი-ბრანდსი	6:7;7:5;7:6;7:6
გრანოლერსი-ჩარდი	3:6;6:3;1:6;2:6
ჩილიჩი-რამი	7:5;6:2;6:4
სიმონი-ლევაინი	2:6;6:3;7:6;6:2

ქალები

ვიკმაიერი-ჩეპელოვა	7:6;7:5
ცურენკო-გავრილოვა	7:5;6:3
კუზნეცოვა-შუვეი	6:2;6:1
დატე კრუმი-პირი	6:2;7:5
ვოზნიაცკი-ვეკიჩი	6:1;6:4
შაფარჟოვა-იოვანოვსკი	5:7;5:7
სტივენსი-მლადენოვიჩი	6:4;6:3

მარიო გომესი: „ყოველ მომდევნო შეხვედრაში მაქსიმალური ყურადღებით ვთამაშობდით“

მარიო გომესი გერმანიის ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. 5 სეზონში 107 ბურთი – ასეთია ფორვარდის ნადავლი, რაც საკმაოდ მაღალი შედეგია. ბოლო ორი სეზონია, ესპანური ფესვების მქონე გერმანელი ბუნდესლიგის გათამაშებაში 30-მდე გოლს რეგულარულად იტანს და მისი საუკეთესო ბომბარდირია.

მიმდინარე სეზონის დასაწყისში, გომესმა უმძიმესი ტრავმა მიიღო და ხანგრძლივი რეაბილიტაციის პერიოდის გავლა მოუწია. მწყობრში ჩამდგარმა მარიომ პირველივე მატჩში დაამტკიცა, რომ სათამაშო პრაქტიკის არქონამ მის ბომბარდირულ თვისებებზე გავლენა ვერ მოახდინა.

გომესის ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

– როგორ გაქვთ ქუსლი? მის გამო შეკრების პირველი ორი დღე გაგიცდათ.

– ყველაფერი რიგზეა, უბრალოდ, ფეხი გადამიბრუნდა და თანაც არა ის, რომელიც გასულ სეზონში დავიზიანე. მხოლოდ ერთი დღე უნდა დამესვენა, მაგრამ, ფიზიოთერაპევტთა გადაწყვეტილებით, კიდევ ერთი დღე გამიცდა. დაბრუნების შემდეგ თანაგუნდელებზე უფრო დაძაბული ვარჯიშების შესრულება მომიწია, რთული იყო, მაგრამ არა უშავს.

– ქუსლი, რომელზეც ოპერაცია გაიკეთეთ, აღარ გაწუხებთ?

– ფიზიოთერაპევტი გამოკვლევებს პერიოდულად მიტარებს და ყველაფერი რიგზეა. ვარჯიშებზე თავს კარგად ვგრძნობ და თამაშებზეც სრულად შემიძლია დახარჯვა. ახლა ყველაფერი რიგზეა. ერთია, აღდგენითი პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი იყო. ახლა შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ ყველაფერი კარგად გავაკეთე.

– არ გაგაკვირვათ იმ ფაქტმა, რომ დაბრუნებისთანავე ათამაშდით?

– 4 თვე გამიცდა და ამიტომ ყველაფრის ნულიდან დაწყება მომიწია. ეს ადვილი არ იყო, თუმცა, ვიცოდი, რომ კარგ ფორმაში ვიყავი, რადგან აღდგენით პერიოდში მუხლჩაუხრელად ვმუშაობდი. ცოტა გამიმართლა კიდეც, პირველივე თამაშში გოლის გატანა რომ შევძელი. ამის გაკეთება გუნდის დამსახურებით მოვახერხე, რომელმაც ბრწყინვალედ ითამაშა.

– „ბაიერნის“ ასეთი შთამბეჭდავი შედეგიანობის საიდუმლო რა არის?

– ჩვენ შესანიშნავი სათადარიგო სკამი გვაქვს. მწვრთნელს როტაციის კარგი შესაძლებლობა აქვს. ამასთან, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ფეხბურთელების შესანიშნავი ფიზიკური მომზადება. გასულ სეზონში კარგი გაკვეთილი მივიღეთ. დავინახეთ, რომ კონცენტრაციის დაკარგვა არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება. შესაძლოა, ჩვენ გუნდში ბუნდესლიგის ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელები ირიცხებიან, მაგრამ ეს წარმატების გარანტია სულაც არაა და აუცილებელია დაუღალავი შრომა. ეს გაკვეთილი კარგად ავითვისეთ.

– ბუნდესლიგაში თქვენმა გუნდმა ჯერ მხოლოდ შვიდი გოლი გაუშვა, რაც ბრწყინვალე შედეგია. ჩემპიონთა ლიგაშიც ამდენივე გოლი მიიღეთ, ოღონდ მხოლოდ ექვსი მატჩი ჩაატარეთ. რას დავაბრალოთ ეს სტატისტიკა?

– ამათგან სამი, „ბატესთან“ წაგებულ მატჩში მივიღეთ. სეზონის პირველ ნაწილში ჩატარებული თამაშებიდან, ის ყველაზე გამორჩეულია. მაგრამ მარცხსაც აქვს თავისი დადებითი მხარე. ამის შემდეგ, ყოველ მომდევნო შეხვედრაში მაქსიმალური ყურადღებით ვთამაშობდით.

– ზამთრის საწვრთნელი შეკრება დასასრულს უახლოვდება. სამშაბათს „ბაიერნმა“ „შალკე“ 5:0 დაამარცხა. რას იტყვით შეკრების შესახებ?

– მთავარი ისაა, რომ ყველა ფეხბურთელი მაქსიმალურად მოტივირებულია და მომართულია საბრძოლველად. დარწმუნებული ვარ, ასეთი განწყობა სეზონის ბოლომდე შენარჩუნდება. 27-ივე მოთამაშე შესაძლებლობების პიკზეა და ეს ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. თუ დააკვირდებით ჩვენს პოზიციურ თამაშსა და გადაცემებს, შეიძლება ითქვას, რომ ბურთი ჯაჭვურად მოძრაობს. ჩვენ უკეთესები ვართ და დიდ სიამოვნებას ვიღებთ თამაშისგან.

– ვარჯიშებისას მთავარი აქცენტი რომელ სათამაშო კომპონენტებზე კეთდებოდა?

– შვებულება იმ ხანგრძლივობისა არ იყო, რომ სათამაშო ფორმა დაგვეკარგა, მაგრამ საკმარისი იყო კარგად დასასვენებლად. ვარჯიშებზე თამაშის მრავალ ასპექტზე ვმუშაობდით და მწვრთნელი ცდილობდა, ის მაქსიმალურად მრავალფეროვანი გაეხადა.

– როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე იმ ოთხმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა, რომლებმაც შეკრებაში მიიღეს მონაწილეობა?

– ძალიან კარგი და ეს სიურპრიზი სულაც არაა, რადგან „ბაიერნის“ ახალგაზრდულ გუნდში შემთხვევით არავინ ხვდება. ისინი ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, რომლებიც მუხლჩაუხრელად ვარჯიშობენ და ცდილობენ, უკეთესი გახდნენ. შეკრების მეხუთე დღეს გუნდში ერთგვარი მინიტურნირი ჩავატარეთ და ამ ბიჭებმა მეორე ადგილი დაიკავეს.

– თუ გაბედეს მათ მარიო გომესთან გასაუბრება?

– მე თავად ვიჩენდი ინიციატივას და ბიჭებს ვესაუბრებოდი, რათა მათთვის მორცხვობის მომენტი მომეხსნა, არ მორიდებოდათ ორთაბრძოლებში შესვლა, ემოქმედათ დამაჯერებლად და დაემსახურებინათ პატივისცემა. ვფიქრობ, მათ მიიღეს ჩემი რჩევები. ბიჭებს ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი გვერდში ედგა.

– რას გეგმავთ მიუნხენში დაბრუნების შემდეგ?

– გავაგრძელებთ ვარჯიშს, რათა საუკეთესო ფორმაში შევხვდეთ „ფიურტთან“ მატჩს და მოვიპოვოთ გამარჯვება.

– შეძლებთ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებას?

– ახლა გუნდის თამაში უფრო სტაბილურია, ვიდრე განვლილ სეზონში და ამის დასტურად პირველი წრის შედეგებიც გამოდგება. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჯერ ჩემპიონები არ ვართ და მოშვება არ შეიძლება. მომდევნო თვეებში „ბაიერნმა“ უნდა დაამტკიცოს, რომ გერმანიის საუკეთესო კლუბია.

– „დორტმუნდმა“ რომ შეძლოს გასული სეზონის სცენარის გამეორება?

– გასულ სეზონში „დორტმუნდს“ უკეთესი კალენდარი ჰქონდა, ვიდრე ჩვენ. წელს ყველაფერი სხვაგვარადაა. ჩვენს მსგავსად მათაც უწევთ ჩემპიონთა ლიგაში ბრძოლა, მაგრამ მაქსიმალურად ყურადღებით უნდა ვიყოთ, რადგან საქმე გვაქვს ძლიერ გუნდთან დიდებული მწვრთნელით სათავეში. უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს „დორტმუნდი“ საგრძნობლად გაძლიერდა და ასეთ გუნდთან დაპირისპირება ნებისმიერ ჩემპიონატს დაამშვენებდა.

ზესტაფონში ბარსელონელი გამოჩნდა

ორდღიანი დასვენების შემდეგ საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ მშობლიურ ქალაქში შეიკრიბა და საქართველოს 24-ე ეროვნული ჩემპიონატისა და ეროვნული თასის გათამაშების საგაზაფხულო სტადიის მატჩებისათვის მზადება განაგრძო. იმერული კლუბის ბაზაზე გამართული ვარჯიში იმითაც იყო საინტერესო, რომ მათ რიგებში რამდენიმე ახალი ფეხბურთელიც გამოჩნდა.

სხვადასხვა ხასიათის ტრავმებით გამოწვეული იძულებითი პაუზისა და ჩატარებული მკურნალობის შემდეგ საერთო ჯგუფთან ერთად ვარჯიშს დაუბრუნდნენ თორნიკე აფციაური, ლევან შარიქაძე და თორნიკე გრიგალაშვილი.

რაც შეეხება „ახალ სახეებს“: გუნდთან ერთად პირველად ივარჯიშეს 26 წლის სერბმა მცველმა სლავკო ჩულიბრკმა, რომელიც ბოლოს სერბული უჟიცეს „სლობოდაში“ ასპარეზობდა, 19 წლის ალჟირელმა ფორვარდმა მოჰამედ რეკრუკმა (ის „სარაგოსას“ დუბლებში ირიცხებოდა) და კატალონიური „ბარსელონას“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილმა, 18 წლის კამერუნელმა ნახევარმცველმა ოლივიე მუსიმა ებონგემ.

ამასთან ერთად, გუნდთან ერთად ივარჯიშეს 24 წლის გიორგი გუგავამ, 16 წლის მეკარე რომან ტურავამ და 17 წლის ფორვარდმა ბადრი კვარაცხელიამ. უნდა აღინიშნოს ის, რომ ტურავაც და კვარაცხელიაც ბოლოს ზუგდიდის საფეხბურთო კლუბ „ბაიას“ ღირსებას იცავდნენ.

იმერული კლუბისა და ზემოთ ნახსენები ფეხბურთელების სამომავლო ურთიერთობათა საკითხი მოგვიანებით გაირკვევა.

გვარდიოლა ბაიერნში 3 წლით იმუშავებს

გადაწყდა – პეპ გვარდიოლა მომდევნო სეზონიდან, 2016 წლის ზაფხულამდე, მიუნხენის „ბაიერნში“ იმუშავებს.

არადა, თავად ესპანელი სპეციალისტი აცხადებდა, ინგლისში მუშაობა უფრო მხიბლავსო და ამის შესახებ გუშინდელ ნომერშიც ვწერდით, თუმცა ბავარიული კლუბი უკვე ოფიციალურად ადასტურებს გვარდიოლას დანიშვნას.

ერთია, გვარდიოლას მიერ სამწლიანი კონტრაქტის გაფორმებას შეგვიძლია მოულოდნელობა ვუწოდოთ. საქმე ისაა, რომ ის ერთწლიანზე უფრო ხანგრძლივი ხელშეკრულების გაფორმებას მშობლიურ „ბარსელონასთანაც“ კი ერიდებოდა და ამას იმით ხსნიდა, რომ ერთ კლუბში დიდი ხნის განმავლობაში დარჩენა მართებულად არ მიაჩნდა.

41 წლის მწვრთნელის აგენტმა „მარკასთან“ საუბარში განაცხადა, რომ მისმა კლიენტმა არჩევანი ფულის კი არა, კლუბის სტრუქტურიდან გამომდინარე გააკეთა.

– შემოთავაზებები მრავლად გვქონდა და „ბაიერნის“ ვარიანტი ფინანსური თვალსაზრისით ყველაზე მიმზიდველი სულაც არ იყო. მაგრამ გვარდიოლამ არჩევანი მიუნხენელებზე კლუბის სტრუქტურის, გუნდის პოტენციალისა და იმ ფეხბურთელების შესაძლებლობების მიხედვით გააკეთა, რომლებიც გერმანულ გრანდში ირიცხებიან. კონტრაქტის პირობები დაახლოებით 20 დეკემბერს შეთანხმდა, უბრალოდ, ამის შესახებ ინფორმაცია მოგვიანებით გავრცელდა, – განაცხადა აგენტმა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქართულ კინოს ბერლინის კინოფესტივალზე აჩვენებენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე


ზაზა რუსაძე

გონებს თავიანთი ცხოვრება აქვთ. ისინი იმდროინდელი ყოფის ფონზე, როცა საზოგადოებაში გადარჩენის უხეში კანონები მოქმედებს, ცდილობენ, იმაში გაერკვნენ, თუ როგორ, რა პრინციპით და კანონით ფუნქციონირებს ურთიერთობა ორ საპირისპირო სქესს შორის. მათ, პირველად ცხოვრებაში, ისეთ საკითხებთან უწევთ შეხება, როგორებიცაა მეგობრობა, სიყვარული, შურისძიება. ფილმი იმის შესახებ მოგვითხრობს, თუ რა გამოწვევების წინაშე დგებიან ფილმის მთავარი გმირები და რა გადაწყვეტილებებს იღებენ ისინი.

– როგორ გაჩნდა ფილმის იდეა? თბილისში დავიბადე და გვიან, 90-იან წლებში საქართველოდან გერმანიაში სასწავლებლად გავემგზავრე. სწავლის პერიოდშივე გამიჩნდა იდეა ფილმის შესახებ, რომელშიც ამბავი ორი თოთხმეტი წლის გოგონას შესახებ, 90-იანი წლების თბილისშია მოთხრობილი. იმ წლებში მეც ჩვენი გმირებივით ყოველ დღე პურის რიგში ვიდექი, თუმცა ამას ტრაგედიად სულაც არ აღვიქვამდი. გერმანიაში ყოფნისას ძალიან ხშირად ვფიქრობდი ამ დროზე, ჩემს მეგობრებზე. იმაზე, რაც ჩემს ცხოვრებაში და ჩემ სიახლოვეს მოხდა. ამ ყველაფერმა ფილმის სცენარამდე მიმიყვანა. 90-იანი წლები ძალიან დიდი თემაა, ჩვენი ისტორიაა, რომელიც ყველას შეეხო, ძალიან მტკივნეულად, ადამიანების და თაობების ბედი შეცვალა. ფილმის ამბავი ჩემი მახსოვრობიდან, ჩემი მაშინდელი მოგონებებიდან და შეგრძნებებიდან წარმოიშვა. ჩვენი ფილმის მოქმედება 1992 წლის გაზაფხულ-ზაფხულში ვითარდება. თავიდანვე ასე იყო, რომ ფილმის მოქმედება აუცილებლად გაზაფხულ-ზაფხულში უნდა მომხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარმა საოცრად ზუსტად და სასტიკად ასახა ის დრო, ამ ფილმის იდეას ჩემთვის წელიწადის თბილი და მზიანი დრო უფრო ზუსტად ეხმაურება, – ამბობს ფილმის რეჟისორი ნანა ექვთიმიშვილი.

ბერლინალეს საერთაშორისო კინოფესტივალი ავრცელებს პრესრელიზს, რომელიც 2013 წლის ფორუმთან არის დაკავშირებული და ქართულ ფილმთან ერთად გერმანული, ბერძნული, ესპანური და დანიური ფილმების ჩვენებასაც ახმაურებს.

– საქართველოში კინემატოგრაფისტების ახალი თაობა იჩენს თავს, რომელიც ფოკუსირებას ამჯერად საკუთარი ქვეყნის ისტორიაზე ახდენს. „გრძელი ნათელი დღეები“ ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია, რომელიც ქართული კინოს ტრადიციების გაცოცხლების მცდელობით ერთი რიტმული კინემატოგრაფიული კომპოზიციის ქსოვილში აერთიანებს ძალადობის მძვინვარებასა და იდილიის შეგრძნებას, ნაადრევ ცივსისხლიანობასა და ბავშვურ მიამიტობას, – აღნიშნულია პრესრელიზში.

მეორე ფილმი, რომლის მსოფლიო პრემიერაც ბერლინის 63-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ოფიციალურ პროგრამაში შედგება, ახალგაზრდა რეჟისორის ზაზა რუსაძის სადებიუტო ნამუშევარი „ჩემი საბნის ნაკეცია“.

– ქართული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი საბნის ნაკეცი“ ბერლინალეს ოფიციალური პროგრამისთვის „პანორამა“ შეირჩა. „პანორამა“ ფესტივალის არასაკონკურსო სექციაა, რომელიც საავტორო და კომერციული კინოს ინტერესების დაახლოებას ისახავს მიზნად. ამ სექციაში მონაწილეობენ როგორც სახელგანთქმული რეჟისორები, ასევე დებიუტანტი რეჟისორები და სექცია მხოლოდ მათ ევროპულ და მსოფლიო კინოპრემიერებს ეთმობა. 63-ე ბერლინალე 7-დან 17 თებერვლამდე გაიმართება და წლის დასაწყისის ეს მნიშვნელოვანი ფესტივალი კინოპროფესიონალების ყურადღების ცენტრში მოექცევა. ფილმი „ჩემი საბნის ნაკეცი“ ბერლინალეს პროგრამის ადრეულ სელექციაში – 15 დოკუმენტურ და მხატვრულ სრულმეტრაჟიან ფილმს შორის დასახელდა. „ჩემი საბნის ნაკეცი“ ეროვნული კინოცენტრის 2011 წლის კონკურსის გამარჯვებული პროექტია და მისი წარმოების სახელმწიფო სუბსიდიამ 575.000 ლარი შეადგინა. ფილმის მოქმედება ახლო მომავალში პატარა ქართულ ქალაქში ვითარდება. უცხოეთში სწავლის დასრულების შემდეგ დიმიტრი სამშობლოში ბრუნდება და სასამართლოში იწყებს მუშაობას. სამსახურის ერთფეროვან დღეებს მისი გატაცება, კლდეზე ცოცვა ცვლის. მთის წვერიდან მის წინ, ბუნების ულამაზესი ხედი იშლება და დიმიტრი მშობლიური ქალაქის კლაუსტროფობიისგან გათავისუფლებას ცდილობს. ასეთია ფილმის მოკლე სიუჟეტური ხაზი, თუმცა ახალგაზრდა რეჟისორის ნამუშევარი მაყურებელს უჩვეულო კინოთხრობასა და ბევრ დამაინტრიგებელ სიურპრიზს სთავაზობს, – აღნიშნულია ეროვნული კინოცენტრის განცხადებაში.

ფილმში მონაწილეობენ თორნიკე ბზიავა, თორნიკე გოგრიჭიანი, გიორგი ნაკაშიძე, ავთანდილ მახარაძე, ზურა ყიფშიძე, ლუდმილა მღებრიშვილი-არტიომოვა, მარინა ჯანაშია, მაკა მახარაძე, დარეჯან ხარშილაძე, შოთა ქრისტესაშვილი, აკაკი ხიდაშელი, გიორგი გიორგანაშვილი და ეს ახალგაზრდა თუ გამოცდილი მსახიობების ჯგუფი ეკრანზე საინტერესო კინოსახეებს ქმნის.

– მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ავთანდილ მახარაძე, რომელიც თენგიზ აბულაძის „მონანიებისა“ და მიხეილ კალატოზიშვილის „რჩეულის“ შემდეგ ისევ ქართული კინოს ეკრანს უბრუნდება. ბერლინალეს ისტორიის მანძილზე ფესტივალზე სულ 15-მდე ქართული ფილმს მიუღია მონაწილეობა. პირველად, 1986 წელს, გიორგი შენგელაიას „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ იყო მთავარი საკონკურსო პროგრამის მონაწილე და „ვერცხლის დათვიც“ მოიპოვა. შემდეგ, 1992 წელს – მიხეილ კალატოზიშვილის „რჩეული“, 1993 წელს კი – თემურ ბაბლუანის „უძინართა მზე“, რომელიც ასევე საუკეთესო რეჟისურისთვის „ვერცხლის დათვით“ დაჯილდოვდა. ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთების“ პირველი საერთაშორისო ჩვენება 1986 წელს სწორედ ბერლინის კინოფესტივალის პროგრამა „პანორამაში“ შედგა, სექციაში რომელიც ახლა უკვე ზაზა რუსაძის „ჩემი საბნის ნაკეცის“ მსოფლიო პრემიერას უმასპინძლებს. ეროვნული კინოცენტრი ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალთან უკვე 7 წელია აქტიურად თანამშრომლობს. ფესტივალის წარმომადგენლები კინოცენტრის მოწვევით ოფიციალური ვიზიტით 2011-2012 წლებში თბილისშიც იმყოფებოდნენ. მიზანი ახალი ქართული კინოპროდუქციის გაცნობა იყო. საქართველო 2013 წელს არამხოლოდ ფესტივალის ბაზრობაზე იქნება წარმოდგენილი, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კინომოვლენის პრესტიჟულ სექციაში ახალ ქართულ ფილმს წარადგენს, – ნათქვამია განცხადებაში.

ფესტივალის პროგრამა „ჯენერეიშენში“ ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსებული ფილმებიდან ნაჩვენები იყო გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი“ და რუსუდან პირველის „სუსა“.

– საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, წარმოდგენილი იქნება საქართველოს სტენდი ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალთან არსებულ ევროპულ კინობაზრობაზე. კინოცენტრის ერთ-ერთი უმთავრესი მისიაა ქართული ფილმების საერთაშორისო ბაზარზე გატანის ხელშეწყობა. 2013 წლის ევროპული კინობაზრობის ფარგლებში იგეგმება შეხვედრები სხვადასხვა კინოფესტივალების წარმომადგენლებთან და გაყიდვების აგენტებთან. დაინტერესების შემთხვევაში მსურველებს შეუძლიათ მოგვაწოდონ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების – 2012 წელს დამთავრებული ან წარმოების დასკვნით ეტაპზე მყოფი პროექტების ტრეილერები, ინგლისური სუბტიტრებითა და თანმხლები ინფორმაციით ინგლისურ ენაზე. ტრეილერების ეროვნულ კინოცენტრში შეტანის ბოლო ვადა 18 იანვარს ამოიწურა, – აცხადებს ეროვნული კინოცენტრის დისტრიბუციისა და ექსპორტის დეპარტამენტის უფროსი დავით ვაშაძე.

ეკა ირემაშვილი

ეროვნული არქივი შედეგებს აჯამებს

ეკა ირემაშვილი

იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი შედეგებს აჯამებს და გასულ წელს ჩატარებულ სამუშაოებზე ინფორმაციას აქვეყნებს, საიდანაც ნათელი ხდება, რომ გასულ წელს დოკუმენტების დიგიტალიზაციის პროექტები ეროვნულ არქივში აქტიურად მიმდინარეობდა.

ეროვნული არქივის წარმომადგენლის თეა ქიმერიძის თქმით, წლის განმავლობაში ციფრულ მატარებელზე გადაიტანეს წერილობითი დოკუმენტების 830.000 გვერდი, 2.247 ტექნიკური ნახაზი, 7.980 ფოტოს პოზიტივი და ნეგატივი, 300-ზე მეტი ფონოჩანაწერი. კინოფოტოდოკუმენტების ცენტრალურმა არქივმა 2012 წელს მინის ფოტონეგატივის დასკანერებისათვის სპეციალური აპარატურა შეიძინა და 2.380 ნეგატივი, რომელიც მანამდე გაუშიფრავი იყო, დასკანერდა. ამავე არქივში 297 მხატვრული და 17 მულტიპლიკაციური ფილმის ფონოჩანაწერები მაგნიტური ფირებიდან ციფრულ ფორმატში გადაიტანეს. საისტორიო ცენტრალურ არქივში XI-XIX საუკუნეების დოკუმენტების 80.000-მდე გვერდია გაციფრულებული.

– დიგიტალიზაციის პროცესი განხორციელდა უკონტაქტო სკანერით, რაც უზრუნველყოფს საუკუნეების წინანდელი დოკუმენტების მაქსიმალურად უსაფრთხო გადაღებასა და დაზიანებისგან დაცვას. სპეციალური ფოტოობიექტივი და განათება, რომლითაც აღჭურვილია უკონტაქტო სკანერი, დოკუმენტის უმცირეს დეტალსაც კი მაღალი ხარისხით აღბეჭდავს, – ამბობს ეროვნული არქივის წარმომადგენელი.

გასულ წელს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის დოკუმენტების 750.000-მდე გვერდი დასკანერდა და სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში განთავსდა.

– აღსანიშნავია, რომ უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ტექნიკური განყოფილებაში დაცული შენობა-ნაგებობების დიდფორმატიანი ნახაზების დიგიტალიზაციისათვის 2012 წელს შეძენილი იყო სპეციალური სკანერი და ამ დროისათვის დასკანერებულია 2.247 ნახაზი. დოკუმენტების დიგიტალიზაციის პროექტები, ერთი მხრივ, მიმართულია დოკუმენტების დაცვისაკენ, რათა არ მოხდეს მათი დედნების ხშირი გამოყენება, ხოლო, მეორე მხრივ, ზრდის მკვლევართათვის დოკუმენტების ხელმისაწვდომობას, – აღნიშნავს თეა ქიმერიძე.

აქტიურად იმუშავა იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის რესტავრაციის ლაბორატორიამაც, სადაც გასულ წელს რესტავრაცია ჩაუტარდა ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების 35 257 ფურცელს, 328 ფოტოპოზიტივს – 6 ალბომს, 200-ზე მეტ გაზეთს, 96 ტექნიკურ ნახაზს.

– დოკუმენტების კონსერვაცია-რესტავრაციასთან ერთად, ლაბორატორია აქტიურად მუშაობდა ცენტრალური და ადგილობრივი არქივსაცავების დეზინფექციასა და საარქივო ფონდში ახალშემოსული დოკუმენტების მოწესრიგებაზე. გასულ წელს დაიწყო საღვთისმეტყველო-ლიტურგიკულ თხზულებათა კრებულის – გულანის რესტავრაცია, რომელიც XVI საუკუნით არის დათარიღებული და, ხელნაწერის გარდა, 12 მინიატურასაც მოიცავს. გასულ წელს რესტავრაცია ჩაუტარდა ძველ საბუთთა განყოფილების დოკუმენტების 1000-ზე მეტ ფურცელს, მათ შორის იყო ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმის მონასტრისადმი, სპარსული კოლექციის 60-ზე მეტი საბუთი, მეფეთა სიგელები, ბრძანებები, წერილები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. წერილობით დოკუმენტებთან ერთად, რესტავრატორებმა იმუშავეს XIX საუკუნეების ფოტოალბომებზე, ასევე, დაიწყეს ძველნაბეჭდი წიგნების რესტავრაცია, – განმატავს ეროვნული არქივის წარმომადგენელი.

აშშ სირიის ხელისუფლებას ალეპოს ტერაქტში ადანაშაულებს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ალეპოს უნივერსიტეტზე თავდასხმაში, რომლის დროსაც დაახლოებით 83 ადამიანი დაიღუპა და 160 დაიჭრა, სირიის ხელისუფლებას ადანაშაულებს. ამის შესახებ ინფორმაცია ამერიკული უწყების საიტზე გამოქვეყნდა.

„შეერთებული შტატები შოკირებულია სისხლიანი ტერაქტით, რომელიც სირიის რეჟიმის მიერ არის ორგანიზებული“, – ნათქვამი ოფიციალურ შეტყობინებაში. იქვე აღნიშნულია, რომ, მოწმეების მონაცემების მიხედვით, სირიული ვერტმფრენები უნივერსიტეტის შემოგარენს ბომბავდნენ.

სირიული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „სანას“ ცნობით კი უნივერსიტეტის შენობას ორი რეაქტიული ჭურვი მოხვდა, რომელიც „ტერორისტების“, ანუ ასადის ხელისუფლების მოწინააღმდეგეების მიერ იქნა გაშვებული. ალეპოს მერის ინფორმაციით, დაღუპულთა და დაჭრილთა შორის უმრავლესობა სტუდენტები არიან.

გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა ალეპოს უნივერსიტეტზე თავდასხმას „სამხედრო დანაშაული“ უწოდა. გენმდივანმა მომხდარის დაწვრილებით გამოძიება მოითხოვა.

„მოქალაქეებზე განზრახ თავდასხმა სამხედრო დანაშაულია. მსგავსი საზარელი თავდასხმები მიუღებელია და უნდა შეჩერდეს. სირიაში ყველა მებრძოლმა მხარემ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა დაიცვას“, – განაცხადა ბან კი მუნმა.

გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის ედაურდო დელ ბუეის თქმით, ბან კი მუნმა მომხდარი „დაგმო“ და თავდასხმის მსხვერპლთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა.

„სირიის კონფლიქტში სამხედრო ჩარევა ახლო აღმოსავლეთისათვის კატასტროფა იქნება“, – აღნიშნულის შესახებ ჟურნალისტებს რუსული გენშტაბის ხელმძღვანელმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ვალერი გერასიმოვმა განუცხადა.

ამასთან, რუსეთი ყურადღებით აკვირდება თურქეთ-სირიის საზღვარზე „პატრიოტის“ ტიპის რაკეტების განლაგებას. გერასიმოვის თქმით, „შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ძალები გათვლებს კონფლიქტის შეიარაღებული გზით გადაჭრაზე აკეთებენ“, – აღნიშნა გენერალ-პოლკოვნიკმა, რომელმაც კიდევ ერთხელ გაიმეორა მოსკოვის პოზიცია, რომ, რუსეთის აზრით, სირიელმა ხალხმა საკუთარი პრობლემა თავად უნდა გადაჭრას. ხელისუფლებასა და შეიარაღებულ ოპოზიციას შორის კონფლიქტი სირიაში 2011 წლის მარტიდან დაიწყო და დღემდე არ წყდება. გაეროს მონაცემების მიხედვით, კონფლიქტის მიმდინარეობისას დაიღუპა დაახლოებით 60 ათასი ადამიანი. საერთაშორისო ორგანიზაციები სისხლიანი დაპირისპირების შეჩერებას ჯერჯერობით უშედეგოდ ცდილობენ.

გ. მ.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 2. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 3. გადატანითი მნიშვნელობის ნახმარი სიტყვა; 4. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 5. შავი ზღვის ზვიგენი; 6. რაიმეს გარდაქმნა, შეცვლა; 11. რადიაქტივობის საზომი ერთეული; 13. საკურთხევლის ტახტი ეკლესიაში; 14. მოძღვრება ხეხილის ჯიშების შესახებ; 15. სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე; 17. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 18. კაზინოს თანამშრომელი; 19. რევაზ ლაღიძის ოპერა.

თარაზულად: 7. გურულების, აჭარლების, მესხების ძველებური ტანსაცმელი; 8. თურქეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. მცველი, გუშაგი; 10. ვაზის ხეივანი; 12. ცხენზე მოჯირითე, აკრობატი ცირკში; 14. გეომეტრიული ფიგურა; 16. ფილატელისტის ალბომი; 18. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკებისა და შედეგების შესახებ; 22. პატარა მწერი, ქინქლა; 21. სახოტბო ლექსი; 22. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 23. ბრიტანული არაყი; 24. ქალაქი იმერეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბოტეგა; 2. აუდიტი; 3. ნაფტუსია; 4. ალპები; 6. რედისონი; 8. შტურმი; 11. ჰაბანერა; 12. კოდექსი; 16. ლონჟა; 17. სკიჯი; 18. ლუვრი.

თარაზულად: 1. ბოქაული; 5. სქური; 7. სამსალა; 9. ეგვიპტე; 10. მერკელი; 13. მანიანი; 14. მადონა; 15. ბონი; 19. სექვოია; 20. სკუპჩინა; 21. გალაქტიკა; 22. შამოტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პალერმო; 2. თხემი; 3. ზარანდია; 4. სავანა; 5. ვერსაჩე; 6. სახიობა; 11. შაორი; 13. ოპერეტა; 14. ბონისტიკა; 15. დინოზავრი; 17. იადონი; 18. პურადი; 19. დოხა.

თარაზულად: 7. თაბახი; 8. ნაცარქექია; 9. ბეშუმი; 10. ბარახასი; 12. მონოგრაფია; 14. ბლენდა; 16. ნიველირი; 18. პანსიონი; 20. ტრასა; 21. გზა; 22. კოსტიოლი; 23. შოვი; 24. კარალიოკი.

2030 წელს ჩინეთის ეკონომიკა მსოფლიოს ლიდერი გახდება

„რაის უოთერ ჰაუს კოპერსის“ მიერ გამოქვეყნებული პროგნოზული ანგარიშის მიხედვით, 2030 წლისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით ჩინეთის ეკონომიკა აშშ-ს გაუსწრებს და მსოფლიოს ლიდერი გახდება.

2050 წლისათვის რუსეთის ეკონომიკა ზემოხსენებული თვალსაზრისით გერმანიას, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს გაუსწრებს.

პროგნოზის მიხედვით, 2050 წლისათვის მსოფლიოში პირველ ადგილზე ჩინეთი იქნება, მეორეზე – აშშ, ხოლო მესამეზე – ინდოეთი. დღეის მდგომარეობით, პირველზე შეერთებული შტატებია, მეორეზე – ჩინეთი, ხოლო მესამეზე – იაპონია.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გამოაცხადა მაო ძედუნმა 1949 წელს, მიღებულ იქნა საბჭოური ტიპის კონსტიტუცია. 1971 წლიდან გაეროს წევრია. 80-იან წლებში კომუნისტმა-რეფორმატორებმა გაატარეს ეკონომიკური რეფორმები და ჩინეთმა გიგანტური ნაბიჯებით იწყო წინსვლა, გაუმჯობესდა ურთიერთობა მრავალ ქვეყანასთან. რეფორმები არ შეხებია პოლიტიკურ სისტემასა და თავისუფლებებს. ცენტრალურ ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები აქვს ტაივანთან და ტიბეტთან ურთიერთობებში.

„ფრიდომ ჰაუსი“: სივრცე ყველაზე რეგიონია“

ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ განცხადებით, პოსტსაბჭოთა სივრცე და შუა აზიის ქვეყნები მსოფლიოში ყველაზე რეპრესირებულ რეგიონებს წარმოადგენენ.

ოთხშაბათს გამოქვეყნებულ მოხსენებაში საუბარია, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მხრივ სიტუაცია 2012 წელს გაუარესდა. 2012 წელს დემოკრატიის დონე მსოფლიოს 27 ქვეყანაში დაეცა.

იმ ქვეყნებისა და ტერიტორიების სიაში, სადაც სიტუაცია განსაკუთრებით მძიმეა, დასახელებულია ბელარუსი და სამხრეთ ოსეთი, რომლის დამოუკიდებლობასაც რუსეთი და რამდენიმე ქვეყანა აღიარებს.

ორგანიზაციის ექსპერტების აზრით, დემოკრატიის თავისუფლების მხრივ პროგრესი საქართველოსა და სომხეთშია შესამჩნევი.

ცალკე ქვეყნად განიხილა და იმავე კატეგორიაში მოახვედრა ორგანიზაციამ მთიანი ყარაბაღის სადავო რეგიონიც, რომელმაც, როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, „პოლიტიკური უფლებების ნაწილში „მსოფლიოში მშვიდობის“ სკალაზე პოზიციები ერთი პუნქტით გაიუმჯობესა და „არათავისუფალი ქვეყნების“ რიგებიდან გავიდა“.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ „მთიანი ყარაბაღის სტატუსი კონკურენტული საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისა და მასში რეალური ოპოზიციის მონაწილეობის გათვალისწინებით ამაღლდა“.

სომხეთის ნაწილში ასევე პოზიციის გაუმჯობესებაა აღნიშნული და განმარტებულია, რომ ამ შემთხვევაში მხედველობაში მაისში გამართული მშვიდობიანი საპარლამენტო არჩევნები და პარლამენტში რადიკალური ოპოზიციის მოხვედრის ფაქტორებია მიღებული.

აზერბაიჯანი კი კვლავ „არათავისუფალთა“ ჯგუფში რჩება.

ორგანიზაციის მიერ განხილული 195 ქვეყნიდან „თავისუფლად“ ის 187 ჩაითვალა, რომელშიც მოსახლეობის მთლიანი რაოდენობის 43% ცხოვრობს.

„ფრიდომ ჰაუსი“ (თავისუფლების სახლი) – არასამთავრობო ორგანიზაციაა ცენტრალური ოფისით ვაშინგტონში (აშშ). დაარსდა 1947 წ. დაკავებულია სამოქალაქო-პოლიტიკურ თავისუფლებათა და უფლებათა კვლევით (1978 წლიდან). ფინანსდება ძირითადად აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, საინფორმაციო სააგენტოსა და ასევე რიგი საერთაშორისო ფონდების მიერ.

სამგლოვიარო განცხადებები

შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ცენტრის თანამშრომლის, პროფესორ მანანა სულაბერიძის დედა, ქალბატონი

ნუნუ სულაბერიძე

და ვუსამძიმრებთ გარდაცვლილის ოჯახს.



შვილები ევგენი და დავით გორგაძეები, შვილიშვილები გიორგი, ირაკლი, კახა, ანა-მარიამი, რძლები დიანა და ირმა, ძმები სულიკო და ბუჭა, ცოლისძმა თემურ სამთელაძე ოჯახით, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კუკური ევგენის ძე გორგაძე

პანაშვიდი: 18, 19 იანვარს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 20 იანვარს, 14 საათზე.

მისამართი: რ.აგლაძის 34, IV კორპუსი, II სადარბაზო, ბინა 35.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მოსკოველმა სამართალდამცავებმა „დედ ჰასანის“ მკვლელობაში ეჭვმიტანილის თითის ანაბეჭდები აღმოაჩინეს



მოსკოველმა სამართალდამცავებმა კრიმინალური ავტორიტეტის, ასლან უსოიანის („დედ ჰასანი“) მკვლელობაში ეჭვმიტანილის თითის ანაბეჭდები აღმოაჩინეს.

„ლაიფნიუსის“ ცნობით, ასევე დადგენილია ადგილი, საიდანაც „დედ ჰასანს“ ესროლეს. ცეცხლი საცხოვრებელი კორპუსის მე-5 და მე-6 სართულებს შორის მდებარე კიბიდან გახსნეს. ადგილზე აღმოჩენილია 9 მმ კალიბრის ვაზნები.

გამოძიების ინფორმაციით, მკვლელს, სავარაუდოდ, სამუშაო უნიფორმა ეცვა და, რადგან სადარბაზოში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, ადგილობრივი მოსახლეობა უცხო პირების მოძრაობას შეჩვეულია.

სამართალდამცავების ვარაუდით, „დედ ჰასანი“ სპეცსამსახურების იარაღით მოკლეს. ეს არის „ვალ“-ის ტიპის 9 მმ კალიბრიანი სპეციალური ავტომატი, რომლის ლულაც უხმო სროლისთვის აუცილებელი შიდა მოწყობილობებით არის აღჭურვილი. აღნიშნული იარაღი არმიის სპეცრაზმის შეიარაღებას წარმოადგენს.

გამომძიებლებს გასაოცრად მიაჩნიათ ფაქტი, რომ რესტორან „კარეტნი დვორ“-ის სათვალთვალო კამერებიდან არც ერთს ჩამწერი ფუნქცია არ აღმოაჩნდა.

სამართალდამცავები მკვლელობის სურათის აღდგენას უსოიანის დაცვის წევრისა და იმ ქალის მონათხრობით შეეცდებიან, რომელიც მკვლელობის ადგილზე შემთხვევით აღმოჩნდა და დაიჭრა. მას მკერდისა და ფეხის არეში ორი ჭრილობა აქვს მიყენებული და, სავარაუდოდ, გამოძიებას ჩვენებას მოგვიანებით მისცემს.

პროზექტურას, სადაც „დედ ჰასანის“ გვამია დასვენებული, პოლიციის გაძლიერებული რაზმები იცავს. კრიმინალური ავტორიტეტის ცხედარს დაკრძალვამდე დაიცავენ.

მოსკოვის ცენტრში „დედ ჰასანი“ გუშინ მოკლეს. თავდასხმა „პოვარსკის“ ქუჩაზე განხორციელდა, როდესაც „დედ ჰასანი“ რესტორან „კარეტნი დვორიდან“ გამოვიდა. ამ რესტორანს კრიმინალური ავტორიტეტის არაოფიციალურ რეზიდენციად მიიჩნევდნენ, რადგან იგი იქ ხშირად იღებდა სტუმრებს და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებთან ურთიერთობებს არკვევდა.

დაჭრილი კრიმინალური ავტორიტეტი რეანიმაციაში მოათავსეს, თუმცა მალევე გარდაცვალა. 1937 წელს საქართველოში დაბადებული უსოიანი რუსეთის ფედერაციაში მოქმედი უმსხვილესი კრიმინალური კლანის ლიდერად ითვლებოდა.

სამართალდამცავთა ინფორმაციით, ასლან უსოიანის სიკვდილი სხვადასხვა კრიმინალური დაჯგუფების დაპირისპირების შედეგია.

ასლან უსოიანი, რომელიც ოფიციალურად პეტერბურგში იყო დარეგისტრირებული, მოსკოველი ქილერების სამიზნე ადრეც გამხდარა. 2010 წლის 16 სექტემბერს მას ტვერსკის ქუჩაზე მდებარე სახლის შესასვლელთან ესროლეს.

მაშინ „დედ ჰასანთან“ ერთად მისი დაცვის თანამშრომელიც დაიჭრა. უსოიანი გადარჩა, თუმცა თავიდან, უსაფრთხოების მიზნით, მისი გარდაცვალების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია. დაშავებულს ოპერაცია გასაიდუმლოებულ ვითარებაში ჩაუტარდა. უსოიანს საავადმყოფოში მილიციისა და სპეცსამსახურების ასობით თანამშრომელი იცავდა. ერთ-ერთი ვერსიით, 2010 წელს უსოიანზე თავდასხმის უკან მისი გარემოცვის წევრი იდგა, თუმცა მისი ვინაობის დადგენა კანონერმა ქურდმა ვერ შეძლო. საქმეს ის გარემოებაც ართულებდა, რომ, კრიმინალთა გარდა, უსოიანს მტრობდნენ ბიზნესმენებიც და ჩინოვნიკებიც.

ცნობილია, რომ თავდასხმამდე ცოტა ხნით ადრე ასლან უსოიანს უსიამოვნება მოუვიდა სოჭის ოლიმპიადის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებით. ამ სამუშაოებს უსოიანის მიერ კონტროლირებადი ფირმები ახორციელებდნენ, რაც მოსკოვში ბევრს არ მოსწონდა.

გარდა ამისა, ასლან უსოიანი ყველაზე მთავარ მტრად კანონიერ ქურდ მერაბ ჯანგველაძეს თვლიდა, რომელიც მის ძველ ოპონენტ ტარიელ ონიანთან, მეტსახელად ტაროსთან ახლოსაა. „უსოიანის კლანმა ჩათვალა, რომ ამ ადამიანისგან (ჯანგველაძე) პოტენციური საფრთხე მოდიოდა, ფაქტობრივად, მას სასიკვდილო განაჩენი აქვს გამოტანილი“, – აღნიშნავდნენ ადრე სამართალდამცავ ორგანოებში.

ზოგიერთი ინფორმაციით, 1980-იანი წლების ბოლოს უსოიანი დანაშაულებრივ დაჯგუფებებს როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ აკონტროლებდა. პრესის ინფორმაციით, უსოიანის კრიმინალური იმპერიის ძირითადი შემოსავლები უკანონო სათამაშო ბიზნესთან, ნარკოტიკებისა და იარაღის ბრუნვასთან და ბუნებრივი რესურსების მოპოვებასთან იყო დაკავშირებული.

ასლან უსოიანზე ბოლო თავდასხმას სამართალდამცავ ორგანოებში მისი მეგობრის – კანონიერი ქურდის „რუსული მაფიის მამის“ ვიაჩესლავ ივანკოვის, მეტსახელად იაპონჩიკის მკვლელობას ადარებენ. იგი 2009 წელს მოსკოვის ჩრდილო-დასავლეთში მსგავს სიტუაციაში სასიკვდილოდ დაჭრეს.

„ორივე შემთხვევაში მკვლელი მაღალი რანგის პროფესიონალი იყო“, – აღნიშნავს ერთ-ერთი ინფორმატორი ძალოვანი სტრუქტურებიდან.

ვიაჩესლავ ივანკოვი 2009 წლის 28 ივლისს, რესტორანიდან რომ გამოდიოდა, სნაიპერმა დაჭრა.

ექიმები კანონიერი ქურდის გადარჩენას რამდენიმე თვის განმავლობაში ცდილობდნენ, მაგრამ 2009 წლის 9 ოქტომბერს იგი გარდაიცვალა. სამართალდამცავ ორგანოებში ირწმუნებიან, რომ როგორც დედ ჰასანი, ისე იაპონჩიკი გარკვეული პერიოდის წინ ქართველი კანონიერი ქურდების კლანთან კონფლიქტში შევიდნენ, რომელთაც ტარიელ ონიანი ხელმძღვანელობდა.

წყაროს ინფორმაციით, დედ ჰასანმა დაიფიცა, რომ იაპინჩიკის მკვლელობისთვის შურს იძიებდა. „შედეგად ესპანეთსა და საფრანგეთში დაპირისპირებულ ქურდულ კლანთან დაკავშირებულთა შეკვეთილი მკვლელობები განხორციელდა, ხოლო ამ კლანის ლიდერი მოსკოვის შემოგარენში დააპატიმრეს და გამოძალვის ბრალდებით ციხეში ჩასვეს“, – აღნიშნა წყარომ.

1937 წელს საქართველოში დაბადებული უსოიანი რუსეთის ფედერაციაში მოქმედი უმსხვილესი კრიმინალური კლანის ლიდერად ითვლებოდა. სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, იგი პირველად 19 წლის ასაკში მილიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო გაასამართლეს, მესამე მსჯავრის მოხდისას კი, 1966-1968 წლებში, უსოიანმა „კანონიერი ქურდის“ სტატუსი მიიღო.

ამ ფონზე, მოსკოვს ასლან უსოიანის კლანში არმყოფი ე.წ. კანონიერი ქურდები ტოვებენ. რუსული მედიის ცნობით, მათ შურისძიებისა და დაკავების ეშინიათ.

რუსი სამართალდამცავების ცნობით, 17 იანვარს მოსკოვი ე.წ. კანონიერი ქურდების მთელმა ჯგუფმა დატოვა, სხვები კი რუსეთის დედაქალაქის დატოვებას 18 იანვარს აპირებენ.

მათგან ძირითადი ნაწილი უსოიანის კლანში არ შედიოდა. რუსეთიდან სხვა ქვეყნებში ისინი ბელორუსის გავლით გადიან.

მათ სამართალდამცავების მიერ დაკავებისა და „დედ ჰასანის“ მომხრეების შურისძიების ეშინიათ.

არსებული ინფორმაციით, მოსკოვი უკვე დატოვეს ე.წ. კანონიერმა ქურდებმა ჯემო მიქელაძემ, მერაბ ჯანგველაძემ და როვშან ჯანიევმა. ისინი „დედ ჰასანთან“ დაპირისპირებული კლანის წევრები არიან.

ირანსა და ბირთვულ სააგენტოს შორის მოლაპარაკებები გრძელდება

ირანსა და საერთაშორისო ბირთვულ სააგენტოს შორის მოლაპარაკებები, რომელიც ირანის დედაქალაქში დაიწყო, ხვალ გაგრძელდება. ამის შესახებ ტელეკომპანია „ალ-ალამი“ იუწყება. ტელეარხის ინფორმაციით, სააგენტოს სპეციალისტებმა უკვე ორი სამუშაო შეხვედრა გამართეს ირანულ მხარესთან.

საერთაშორისო ბირთვული სააგენტოს წარმომადგენლის, გერმან ნაკარტცის განცხადებით, ირანთან მოლაპარაკებები ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მიზნად საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ისახავს. როგორც ცნობილია, აშშ, ისრაელი და რიგი დასავლური ქვეყნები ირანს მშვიდობიანი ატომური პროგრამის საფარქვეშ ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობაში ადანაშაულებენ. თეირანი, თავის მხრივ, უკვე წლებია აცხადებს, რომ მისი ბირთვული პროგრამა მთლიანად მშვიდობიან მიზნებზეა ორიენტირებული. შეგახსენებთ, რომ ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ჰამენეიმ ირანს ბირთვული იარაღის წარმოება აუკრძალა და ამის შესახებ რელიგიური ბრძანება გამოსცა.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, აღნიშნული ბრძანება ირანის ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა შეასრულოს და ამით დასრულდეს საუბარი იმაზე, რომ თეირანი ატომურ იარაღს აწარმოებს. ირანის საგარეო უწყებაში აღნიშნავენ, რომ დასავლეთმა აიათოლა ჰამენეის ბრძანების მნიშვნელობა უნდა გაიგოს, რადგან მათთვის უმაღლესი სულიერი ლიდერის ბრძანება მათი საქმიანობის საფუძველია.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

პარასკევი 18 იანვარი

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** „ჩვენი დილა“ (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.50** „მოამბე“ **10.30** „დილის საუბარი“ **11.00** „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) **12.45** „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** „დღეს ორის ნახევარზე“ (პ/ე) **15.00** ტ/სერ „როსელა“ **17.00** დ/ფ „ადამიანის პლანეტა“ **18.00** „პეპე და მეგობრები“ **19.05** ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი“ **21.00** ტ/სერ „როსელა“ **22.00** „აქცენტები“ **23.30** „გააგრძელე საქართველოს ისტორია“ **00.00** „წითელი ზონა“ **01.00** მხ/ფ „ცხენებსაც კლავენ“ არა?!“ **03.10** ტ/სერ „სპირალი“ **04.10** მხ/ფ „ბრან ტორინო“

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00** „პრიფინგის დრო“ **11.00** დ/ფ „მეცნიერება ფილმებში“ მე-4 ნაწ. **14.00** დ/ფ „ფერების სამყარო“ მე-2 ნაწ. **16.00** დ/ფ „მარი კიური“ **19.00** ტ/სერ „ოჯახური გამოძიება“ **11** სერ. **22.00** „თავისუფალი ტრიბუნა“ **00.00** „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30, 09.10 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **10.00** სერ. „ილგლიანი მოახლე“ **11.30** სერ. „უკვდავი ამბავი“ **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. „გაქცევა – 3“ **14.45** სერ. „24 – 4“ **15.45** სერ. „დამალული სიმართლე“ **17.40** სერ. „თილისმა“ **18.50** სერ. „სახიფათო ვნება“ **21.00** სერ. „მარტოსული“ **22.00** ქ.სერ. „შუა ქალაქში“ **23.00** სერ. „ღვინის გზა“ **10** სერ. **00.15** მხ/ფ. „იპოვე ჟეშმარიტება“ (ჯ.ფონდა) **02.20** მხ/ფ. „ბედს ვერ გაექცევი“ (ჯ.ენინსტონი) **03.05** მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. „ქალის მსხვერპლი“ **11.00** სერ. „იდუმალი ქალი“ **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** „შუა დღე“ **15.30** პროფილი საახალწლოების ბესტი გ/ჩ **18.45** სერ. „მგზნებარე გული“ **19.50** სერ. „ღირსება და ამგიცია“ **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია - დაწყება **23.00** ვანოს შოუ - დაწყება **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუყურავთ კლასიკას **06.20** დოკ/ფ „ველური ბუნება“ **06.45** მხ/ფ „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** „განთიადი“ **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსთა ქებათა ქება **10.40** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **12.15** მხ/ფ „სინემა“ **13.30** კონცერტი -ჯ. როსინი „პატარა საზეიმო მესა“ **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ „ველური ბუნება“ **16.05** მხ/ფ „არსენას ლექსი“ **18.10** ტელეზოპარი **18.20, 23.15** ფოტოგალერეა **18.25** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“ **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.30** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.20** ჟურნალისტის დღიური **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.15** ირაო

მაესტრო **07.00, 02.30, 04.55, 05.55** ახალი ამბები (კოლაჟი) **07.30, 08.20, 10.30, 11.20, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 04.45, 05.25, 06.15** უცხოეთის ამბები **07.55, 10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 16.55, 17.55, 18.55, 06.50** უკომენტაროდ, ამინდი **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00** ახალი ამბები **08.30, 09.15** შალვა რამიშვილის „დილა“ **11.30, 22.00, 02.10** „ყოველდღიური ამბები“ **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 00.25** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ **19.30, 00.50** თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები“ **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.20, 03.05** თოქ-შოუ - „პოლიტმეტრი“ **00.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

18 იანვარი

აშშ დოლარი — 1,6582

ევრო — 2,1994

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6870

რუსული რუბლი — 0,0548

ამინდის პროგნოზი 18 იანვრისთვის

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით —5-9, ღამით — -5 -2.

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 7-12, ღამით — 5-6.

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 3-5, ღამით — -5 -7.

„ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ჯოჯი 1 ამერიკული ზღაპრები

„მაშა და დათვი“ თბილისშია

პატარებისთვის განსაკუთრებულად საყვარელი ანიმაციური ფილმის „მაშა და დათვის“ პერსონაჟები თბილისში არიან. სპექტაკლის პრემიერას მოზარდ მაყურებელთა თეატრში „მულტი-პულტი“ წარმოადგენს. ეს არის პირველი ქართული თეატრალური სერიალი, რომელიც 19 იანვრიდან საბავშვო თეატრში გათამაშდება.

– ეს არის პირველი ქართული მულტიპლიკაციური სერიალის ტიპის თეატრალური პროექტი, რომელზეც ექსკლუზიური უფლება „მულტი-პულტის სამყარომ“ მოიპოვა. ლიცენზია გულისხმობს ბრენდის „მაშა და დათვის“ სრული პაკეტის გამოყენებას საქართველოს ტერიტორიაზე, – ამბობს სპექტაკლის რეჟისორი გოჩა ხვიჩია.

გოჩა ხვიჩიას მიერ დადგმული სპექტაკლი „მაშა და დათვი“ არ წარმოადგენს რუსული მულტიპლიკაციური ფილმის სცენური ინტერპრეტაციის სრულ ასლს. პატარა ქართველი მაყურებლისთვის შეიქმნა ახალი პიესა, დაემატა ახალი პერსონაჟები და სიტუაციები.

– ამ სპექტაკლში მაშას სურვილია შეხვდეს ქართული მულტიპლიკაციური ფილმის „წუნა და წრუწუნას“

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ყველამ გაითვალისწინეთ!

ასტროპროგნოზი 18 იანვრისთვის

შემოქმედებითი დღეა

ვერძი – ახალ ამბავს გაიგებთ და ძალან გაგიხარდებათ. **კურო** – ფული არ გაქვთ, მაგრამ მალე იშოვით. **ტყუპები** – გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა, გელით სხვა სიახლეც. **კირჩხიბი** – ნურავის ენდობით, საკუთარი თავის გარდა. **ლომი** – ახალ ბიზნესს წამოიწყებთ, საქმე კარგად წაგივთ. **ქალწული** – ზედმეტი აქტიურობა არ არის საჭირო, საქმეს ისედაც მიიყვანთ ბოლომდე. **სასწორი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ღრიანკალი** – თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ, დაგიფასებენ კიდეც. **მშვილდოსანი** – იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **თხის რქა** – ფული გაქვთ, კიდევ იშოვით. **მერწყული** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თევზები** – ყურადღების ცენტრში ყოფნა გსიამოვნებთ.

გისუჩვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოხსვოხდი ა

შვეულად: 1. უღელტეხილის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ძველი ქართული დამწერლობა; 3. პირველი ქართული ბალეტი; 4. მექანიკური მუსიკალური საკრავი; 6. მოლაპარაკე ფრინველი; 8. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. უბანი სოხუმში; 12. ქერის პური; 16. ბედ-იღბლიანობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 17. ბერების განცალკევებული სადგომი მონასტერში; 18. სვლის მიმართულება, გეზი.

თარაზულად: 1. წელიწადის დრო; 5. ძველებური კაჟიანი თოფი; 7. მოხალისეთა ჯარი; 9. ავტონომიური ოლქი ესპანეთის ჩრდილოეთში; 10. გემის სამზარეულო; 13. ვეშაპის ერთ-ერთი სახეობა; 14. ბრმად თაყვანისცემის უსულო საგანი; 15. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 19. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 20. მსახიობის საპატივცემულოდ გამართული სპექტაკლი; 21. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 22. მთიანეთი აზიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



ქართულ კინოს ბერლინის კინოფესტივალზე აჩვენებენ

2013 წლის თებერვალში ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმის „გრძელი ნათელი დღეების“ პრემიერა ბერლინალეს ფორუმის ოფიციალურ პროგრამაში შედგება.

როგორც ეროვნულ კინოცენტრში აცხადებენ, სიმონ გროსი წარმოშობით ბერლინელია, ნანა ექვთიმიშვილი კი იქ სწავლობდა და ბერლინში ათ წელზე მეტია, რაც ცხოვრობს. შეიძლება ითქვას, პრემიერა მათთვის მშობლიურ ქალაქში გაიმართება.

– „გრძელი ნათელი დღეები“ ბერლინალეს ფორუმის ოფიციალურ პროგრამაშია. წელს ბერლინალეზე ფორუმი თავისი ოფიციალური პროგრამით ორმოცდამესამედ წარდგება. ფორუმის სექციას 1971 წელს ჩაეყარა საფუძველი და მის სექციაში ისეთი ქართული ფილმები იყო ნაჩვენები, როგორებიცაა ოთარ იოსელიანის „პასტორალი“ და სერგო ფარაჯანოვის „ამბავი სურამის ციხისა“, ხოლო ამ სექციაში ქართული ფილმი ბოლოს 20 წლის წინ წარდგა, ეს იყო ლანა ღოღობერიძის „ვალსი პეჩორაზე“, – ნათქვამია ეროვნული კინოცენტრის განცხადებაში.

ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“ ქართულ-გერმანულ-ფრანგული კოპროდუქციაა. ფილმს სუბსიდირება გაუწია საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა და ფილმისათვის 250.000 ლარი გამოყო.

– ფილმის კოპროდიუსერები არიან გერმანიისა და საფრანგეთის ტელეარხები „ზედეეფი“ და „არტე“. ფილმს ასევე სუბსიდია გაუწიეს გერმანიისა და საფრანგეთის კულტურის სამინისტროების სახელმწიფო ფონდებმა. ფილმის ოპერატორია რუმინელი ოლეგ მუტუ, რომელიც ოპერატორია ისეთი ფილმებისა, როგორებიცაა კრისტიან მუნჯუს „გორაკებს მიღმა“, „4 თვე, 3 კვირა, 2 დღე“, ასევე სერგეი ლოჟნიცას ფილმები „ნისლში“, „ჩემი ბედნიერება“ და ალექსანდრე მინდაძის „ერთ შაბათს“. ამ ფილმებმა მრავალი პრიზი და აღიარება დაიმსახურა კანისა და ბერლინის კინოფესტივალებზე. 2007 წელს კრისტიან მუტუს ფილმს „4 თვე, 3 კვირა, 2 დღე“ კანის ფესტივალის მთავარი ჯილდო – ოქროს პალმის რტო ერგო. რაც შეეხება ფილმს „გრძელი ნათელი დღეები“, ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმი საქართველოს, გერმანიისა და საფრანგეთის ერთობლივი ნამუშევარია. ფილმის სცენარი ნანა ექვთიმიშვილს ეკუთვნის, ოპერატორია ოლეგ მუტუ, მონტაჟი – შტეფან შტაბენოვი, პროდიუსერები სიმონ გროსი, მარკ ვეხტერი, კო-პროდუსერი – გიომ დე სეიე, ნანა ექვთიმიშვილი, მთავარ როლებში მონაწილეობენ ლიკა ბაბლუანი და მარიამ ბოკერია, ფილმში ასევე დაკავებული არიან თემიკო ჭიჭინაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ბერტა ხაფავა, ანა ნიჟარაძე, ზაზა სალია, ენდი ძიძავა, მარინა ჯანაშია, მაია ლომიძე. ფილმის შექმნაში ჩართული არიან კინოკომპანიები გერმანიიდან, საქართველოდან და საფრანგეთიდან. ფილმის შექმნისთვის სუბსიდიები გაიღეს საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა და გერმანიის კულტურისა და მედიის სახელმწიფო ფონდმა, საფრანგეთის საგარეო და ევროპულ საქმეთა სახელმწიფო ფონდმა, საფრანგეთის კულტურისა და კომუნიკაციის სახელმწიფო ფონდმა, – აცხადებენ ეროვნულ კინოცენტრში.

ფილმის მოქმედება 90-იანი წლების საქართველოში ვითარდება და ფილმის მთავარი პერსონაჟები ორი თოთხმეტი წლის გოგონა – ეკა და ნათია არიან. მათი ცხოვრება სახლს, სკოლას, ქუჩას და პურის რიგს არ სცდება. ისინი ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობენ, კლასელები და საუკეთესო მეგობრები არიან და თითოეულის ოჯახური ცხოვრებაც თავისებურად სირთულეებითაა მოცული. თუმცა იმ დროს, როცა უფროსი თაობა ყოველდღიური პრობლემებით არის დაკავებული, გო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფაჩულიას სამმაგ დუბლამდე 2 პასი დააკლდა

ნბა-ში ქართულ დერბის ველოდით, თუმცა ბრუკლინელი თორნიკე შენგელია მწვრთნელმა „ატლანტასთან“ მატჩის განაცხადში არ შეიყვანა. ეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონა ატლანტელთა ქართველ ცენტრ ზაზა ფაჩულიას, რომელიც თორნიკეს მატჩამდე საკუთარ სახლში გულთბილად შეხვდა და მასთან შეხვედრა მოედანზეც სურდა. ფაჩულია ჯოშ სმიტის დისკვალიფიკაციის გამო სასტარტო ხუთეულში იმყოფებოდა და ზაზამ კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ქართველ ცენტრს სამმაგ დუბლამდე 2 პასი დააკლდა.

8 შედეგიანი გადაცემა ფაჩულიასთვის თავისთავად კარიერის რეკორდია. აქამდე ზაზას საუკეთესო შედეგი 7 პასი იყო, რომელიც ქართველმა ცენტრმა წინა სეზონში, 16 მარტს, „ვაშინგტონის“ წინააღმდეგ მოაგროვა. გუშინ კი ფაჩულიამ ეს შედეგი ერთით გააუმჯობესა და კიდევ 2-ც რომ მიეთვალა, ყველასთვის საოცნებო სამმაგ დუბლს გაიფორმებდა.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში ჯოშ სმიტის არყოფნის გამო იმყოფებოდა. ერთ-ერთი ლიდერის გარეშე თამაში, მით უფრო მაშინ, როცა გუნდმა ბოლო 7 მატჩიდან 6 წააგო, ატლანტელებს ურთულეს სიტუაციაში აყენებდა. მაგრამ, მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მებრძოლი სულისკვეთება გამოავლინეს და ლიგის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გუნდი დაამარცხეს. „ბრუკლინს“ ბოლო 7 მატჩი მოგებული ჰქონდა და ატლანტაშიც, ცხადია, მოსაგებად ჩავიდა, მაგრამ ფაჩულიას გუნდმა დიდებულად ითამაშა და საბოლოოდ 109:95 გაიმარჯვა.

ამ წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართველ ცენტრს. ფაჩულიამ 39 წუთი ითამაშა და 13 ქულამ, 11 მოხსნა, 8 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა, ბურთი კი 2-ჯერ დაკარგა. ზაზამ 8-დან 5 ორქულიანი ჩააგდო, რასაც 6-დან 3 საჯარიმოც მოაყოლა. ატლანტელთაგან საუკეთესოდ ჯეფ ტიგი დასახელდა, რომელმაც 28 ქულა და 11 პასი მოაგროვა.

ამ მოგების შემდეგ „ატლანტა“ აღმოსავლეთის ცხრილში ბრუკლინელებს მიუახლოვდა. ამ 2 გუნდს შორის სხვაობა 1 გამარჯვებაა – მეხუთეზე მყოფ ბრუკლინს 23 მოგება და 16 მარცხი აქვს, ხოლო ატლანტელთა მონაგარის შეფარდება ასეთია: 22-16.

მაშ ასე, ქართველები მოედანზე ერთმანეთს ვერ შეხვდნენ, თუმცა ამის შანსი მომდევნო მატჩშივეა: ხვალ ამ გუნდების მატჩი უკვე ბრუკლინში შედგება.

მ. ჯ.